თავი 8 სოციო–ეკონომიკური ფონური მდგომარეობა

სარჩევი

8 სოციო-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობა 8-1

8.1 შესავალი 8-1

8.2 სოციო-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობის გამოკვლევის მეთოდიკა 8-1
8.2.1 PAC-ების იდენტიფიკაცია 8-1
8.2.2 არასაკმარისი მონაცემები და საველე კვლევის მეთოდები 8-2

8.3 სოციო-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობა 8-6

8.4 მოსახლეობა 8-6
8.4.1 შემოთავაზებული პარალელური მილსადენი (კმ ნიშნული 0-62.3) 8-6
8.4.2 შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი (PRMS კმ ნიშნულები 0-2.5) 8-12
8.4.3 სენსიტიური დემოგრაფიული საკითხები 8-16

8.5 ჯანდაცვა 8-20
8.5.1 შემოთავაზებული პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) 8-20
8.5.2 ჯანდაცვასთან დაკავშირებული სენსიტიური საკითხები 8-24

8.6 მიწის გამოყენება და მიწათსარგებლობა 8-24
8.6.1 პარალელური მილსადენის კმ ნიშნულები 0-63 8-24
8.6.2 შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი (PRMS კმ ნიშნულები 0-2.5) 8-26
8.6.3 მიწათსარგებლობისა და მიწის საკუთრების სენსიტიური საკითხები 8-27

8.7 ეკონომიკა, დასაქმება, საარსებო საშუალებები და უნარ-ჩვევები 8-28
8.7.1 შემოთავაზებული პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) 8-28
8.7.2 შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი (PRMS კმ ნიშნულები 0-2.5) 8-36
8.7.3 დასაქმებასთან, საარსებო საშუალებებსა და უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული სენსიტიური საკითხები 8-44

8.8 ინფრასტრუქტურა და მომსახურება 8-44
8.8.1 ენერგეტიკა 8-45
8.8.2 წყალმომარაგება 8-47
8.8.3 განათლება 8-52
8.8.4 მობილური კავშირის ქსელის დაფარვა 8-54
8.8.5 შეხედულებები ინფრასტრუქტურისა და მომსახურების შესახებ 8-54
8.8.6 ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სენსიტიური საკითხები 8-58

8.9 საგზაო მოძრაობა და ტრანსპორტი 8-59
8.9.1 კამერალური ლიტერატურული კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია 8-59
8.9.2 არასაკმარისი მონაცემები და საველე კვლევის მეთოდები 8-61
8.9.3 საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის საბაზისო მდგომარეობა 8-63
8.9.4 საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის სენსიტიური საკითხები 8-67

8.10 საკვანძო სოციო-ეკონომიკური სენსიტიური საკითხები 8-68
8.10.1 საკვანძო სენსიტიური საკითხები შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის სიახლოვეს 8-68
8.10.2 საკვანძო სენსიტიური საკითხები შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის სიახლოვეს 8-69

ცხრილები

ცხრილი 8-1: პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები (მსხვილი დახრილი შრიფტით): ეთნიკური წარმომავლობა, მოსახლეობა, „ინტერვიუს“ ენა, გამოკვლეული PAC-ები და შინამეურნეობების კვლევის ნიმუშების განაწილების დეტალები 8-5
ცხრილი 8-2: მიწის საკუთრება, მიწათსარგებლობის ტიპები და საშუალო ნაკვეთის ფართობი 8-26
ცხრილი 8-3: მიწის საკუთრება, მიწათსარგებლობის ტიპები და საშუალო ნაკვეთის ფართობი 8-27
ცხრილი 8-4: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შინამეურნეობების ფინანსური მდგომარეობა 8-34
ცხრილი 8-5: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - მონაცემები სესხების შესახებ 8-35
ცხრილი 8-6: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - ფინანსური მდგომარეობა....8-42
ცხრილი 8-7: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - მონაცემები სესხების შესახებ....8-42
ცხრილი 8-8: სატრანსპორტო ნაკადის შემაჯამებელი ცხრილი....8-64

სურათები

სურათი 8-1: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შინამეურნეობების სტრუქტურა 8-8
სურათი 8-2: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - განათლების დონე და ოჯახური მდგომარეობა 8-9
სურათი 8-3: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - ეთნიკური წარმომავლობა და რელიგიური აღმსარებლობა....8-10
სურათი 8-4: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - PAC-ებში ცხოვრების ხანგრძლივობა....8-11
სურათი 8-5: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - ახლანდელ საცხოვრებელ ადგილზე გადმოსახლების მიზეზები (ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გადმოსახლებული ოჯახები) 8-11
სურათი 8-6: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - სოციალური პრობლემები....8-12
სურათი 8-7: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - ოჯახების შემადგენლობა 8-13
სურათი 8-8: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - განათლების დონე და ოჯახური მდგომარეობა....8-14
სურათი 8-9: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - ეთნიკური წარმომავლობა და რელიგიური აღმსარებლობა....8-14
სურათი 8-10: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - PAC-ებში ცხოვრების ხანგრძლივობა....8-15
სურათი 8-11: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - ახლანდელ საცხოვრებელ ადგილზე გადმოსახლების მიზეზები (ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გადმოსახლებული ოჯახები) 8-15
სურათი 8-12: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - სოციალური პრობლემები....8-16
სურათი 8-13: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - დროის პერიოდი სამედიცინო დახმარების ბოლო შემთხვევიდან 8-20
სურათი 8-14: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - მიზეზი, რის გამოც რესპონდენტებმა ბოლოჯერ მიმართეს სამედიცინო დახმარებას....8-21
სურათი 8-15: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - ყველაზე გავრცელებული დაავადებები, რის გამოც საჭირო გახდა სამედიცინო დახმარება ბოლო წლის განმავლობაში....8-22
სურათი 8-16: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - გამოყენებული სამედიცინო მომსახურების ტიპები....8-23
სურათი 8-17: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - მედიკამენტების ხელმისაწვდომობა....8-23

სურათი 8-18: მიწის საკუთრება და შეძენა 8-25
სურათი 8-19: მიწის საკუთრება 8-27
სურათი 8-20: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - დასაქმების სტატუსი და სექტორი 8-29
სურათი 8-21: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - ტყის რესურსებით სარგებლობა 8-30
სურათი 8-22: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მთავარი წყაროები 8-30
სურათი 8-23: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები 8-31
სურათი 8-24: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შინამეურნეობების შემოსავლის ძირითადი წყაროები....8-32
სურათი 8-25: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შემოსავლების სეზონურობა 8-33
სურათი 8-26: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შემოსავლის ცვლილება ბოლო 5 წლის განმავლობაში....8-33
სურათი 8-27: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შინამეურნეობების ყოველთვიური ხარჯები....8-34
სურათი 8-28: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შინამეურნეობების მიერ გადასახადების გადახდის ვადები....8-35
სურათი 8-29: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შინამეურნეობების ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა....8-36
სურათი 8-30: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - დასაქმების სტატუსი და სექტორი 8-37
სურათი 8-31: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - ტყის რესურსებით სარგებლობა....8-38
სურათი 8-32: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მთავარი წყაროები....8-38
სურათი 8-33: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - სამსახურის შოვნასთან დაკავშირებული პრობლემები....8-39
სურათი 8-34: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - შემოსავლის ცვლილებები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 8-40
სურათი 8-35: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - შინამეურნეობათა შემოსავლების ძირითადი წყაროები....8-40
სურათი 8-36: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - შემოსავლების სეზონურობა 8-41
სურათი 8-37: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - შინამეურნეობების ყოველთვიური ხარჯები....8-41
სურათი 8-38: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - კომუნალური მომსახურების გადახდის ვადები 8-42
სურათი 8-39: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - შინამეურნეობათა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები....8-43
სურათი 8-40: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - ენერგორესურსების ხელმისაწვდომობა და მომარაგების ხარისხი....8-45
სურათი 8-41: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - ენერგორესურსების გამოყენება საჭმლის მოსამზადებლად და გასათბობად....8-46
სურათი 8-42: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - ენერგორესურსების ხელმისაწვდომობა და მომარაგების ხარისხი....8-46
სურათი 8-43: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - ენერგორესურსების გამოყენება საჭმლის მოსამზადებლად და გასათბობად 8-47
სურათი 8-44: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - წყალმომარაგების პერიოდულობა და ხარისხი 8-48
სურათ 8-45: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ხარისხის შეფასება....8-48
სურათი 8-46: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - ცენტრალური საკანალიზაციო სისტემით სარგებლობა....8-49

სურათი 8-47: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - სარწყავი სისტემის ხელმისაწვდომობა/გამოყენება....8-49
სურათი 8-48: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - წყალმომარაგების პერიოდულობა და ხარისხი 8-50
სურათი 8-49: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ხარისხის შეფასება....8-50
სურათი 8-50: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის გამოყენება....8-51
სურათი 8-51: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - სარწყავი წყლის სისტემის ხელმისაწვდომობა / გამოყენება....8-51
სურათი 8-52: შემოთავაზებული პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - სკოლაში სიარული....8-52
სურათი 8-53: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - სკოლების ხარისხის შეფასება (იმ ოჯახებისთვის, ვისაც ჰყავს სკოლის ასაკის ბავშვები)....8-52
სურათი 8-54: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - ცვლილება ადგილობრივი სკოლების ხარისხში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 8-53
სურათი 8-55: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - სკოლებში სიარული....8-53
სურათი 8-56: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - სკოლების ხარისხის შეფასება (იმ ოჯახებისთვის, ვისაც ჰყავს სკოლის ასაკის ბავშვები) 8-54
სურათი 8-57: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5ის განმავლობაში....8-54
სურათი 8-58: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შეხედულებები ინფრასტრუქტურის, ობიექტებისა და მომსახურების მდგომარეობის შესახებ 8-55
სურათი 8-59: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შეხედულებები ინფრასტრუქტურის, ობიექტებისა და მომსახურების მდგომარეობის ცვლილების შესახებ....8-56
სურათი 8-60: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - შეხედულებები ინფრასტრუქტურის, ობიექტებისა და მომსახურების მდგომარეობის შესახებ....8-57
სურათი 8-61: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - შეხედულებები ინფრასტრუქტურის, ობიექტებისა და მომსახურების მდგომარეობის ცვლილების შესახებ....8-58
სურათი 8-62: SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშისათვის ჩატარებული საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის კვლევის ლოკაციები ახლიხესთან ახლოს 8-60
სურათი 8-63: საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის კვლევის ლოკაცია 1....8-62
სურათი 8-64: ცალმხრივი მოძრაობის სატრანსპორტო ნაკადის პროცენტული შეადგენლობა ლოკაციის მიხედვით....8-65
სურათი 8-65: ორმხრივი მოძრაობის კომბინირებული სატრანსპორტო ნაკადი კატეგორიების მიხედვით....8-66
სურათი 8-66: მარნეულის მიმართულებით მოძრავი სატრანსპორტო ნაკადი 8-67

8 სოციო-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობა

8.1 შესავალი

წინამდებარე თავში მოცემულია განახლებული საკვანძო ლოკალური ინფორმაცია სოციო-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობის შესახებ, რომელიც წარმოდგენილია ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის ანგარიშში (ESBR 2012 წ.). კერძოდ, ამ თავში აღწერილია შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთების მიმდებარე ტერიტორიების ფონური სოციო-ეკონომიკური პირობები და განხილულია შემდეგი საკითხები:

- მოსახლეობა
- ჯანდაცვა
- მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა
- ეკონომიკა, დასაქმება, საარსებო საშუალებები და უნარ-ჩვევები
- ინფრასტრუქტურა და მომსახურება
- საგზაო მოძრაობა და ტრანსპორტი.

მოცემულ თავში არაა წარმოდგენილი ნაციონალური ან რეგიონული დონის მონაცემები, რადგანაც ეს ინფორმაცია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ (იხ. მე-8 თავი). ეს თავი სრულდება შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთების სიახლოვეს გამოვლენილი უმთავრესი სოციო-ეკონომიკური სენსიტიური საკითხების შეჯამებით.

8.2 სოციო-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობის გამოკვლევის მეთოდიკა

ძირითადად, ფონური ინფორმაციის შესაგროვებლად გამოყენებული მეთოდოლოგია იდენტური იყო SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშში აღწერილი მეთოდოლოგიისა (იხ. მე-8 თავი); იგი ფოკუსირებულია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში (PAC) არსებულ სიტუაციაზე. ამ ლოკალურ კონტექსტში იგი ადარებს ორი მოწყვლადი ჯგუფის მდგომარეობას: ერთი მხრივ, რეგისტრირებული უნარშეზღუდული პირები / ქრონიკული ავადმყოფები და იძულებით გადაადგილებული პირები და, მეორე მხრივ, საზოგადოების უფრო ფართო ნაწილი.

8.2.1 PAC-ების იდენტიფიკაცია

იგულისხმებოდა, რომ შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთებისათვის გამოვლინდებოდა ახალი PAC-ები, თუმცა დარჩებოდა ზოგიერთი ადრე განსაზღვრული PAC-იც. თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის მიზნით, PAC-ები განისაზღვრა იგივე კრიტერიუმებისა და მიდგომის გამოყენებით, რომლებიც გამოყენებული იყო SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშში და გადამოწმდა როგორც ახალი, ისე ადრე დადგენილი PAC-ები. ამ პროცესის შედეგად ხუთი სხვადასხვა ზომის დასახლება განისაზღვრა როგორც PAC. აქედან ოთხი (ხაიში, ქოთიში, არალი და ნაოხრები) გამოვლინდა SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის მომზადების პროცესში, ხოლო მეხუთე (პატარა დურნუკი) ახალი PAC-ია. ადრე დადგენილი PAC-ები - არალი და ნაოხრები - განლაგებულია შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის სიახლოვეს (PRMS კმნ 0-2.5), ხოლო ახალი PAC - პატარა დურნუკი და არსებული PAC-ები - ხაიში და ქოთიში -

შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის ახლოს (კმნ 56.6 – 62.3).

8.2.2 არასაკმარისი მონაცემები და საველე კვლევის მეთოდები

8.2.2.1 არასაკმარისი მონაცემები

SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია საკვანძო სოციო-ეკონომიკური მონაცემების არასაკმარისობის შესახებ (იხ. მე-8 თავი). ზემოაღნიშნული უმთავრესად ეხება ოფიციალური სტატისტიკის დაფარულობასა და სანდოობას, განსაკუთრებით - ლოკალურ დონეზე. არასაკმარისი ინფორმაციის შესავსებად და ლოკალური მონაცემების შესაგროვებლად დაიგეგმა და განხორციელდა ორი კვლევა: შინამეურნეობათა კვლევა და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები PAC-ების ლიდერებთან (კვლევა PAC-ების დონეზე). ორივე, შინამეურნეობათა გამოკვლევა და PAC-ების ლიდერების გამოკითხვა, ჩატარდა ნაოხრებსა და არალში; თუმცა არ ჩატარებულა ხაიშში ან ქოთიშში, რადგანაც კვლევის მეთოდიკით საჭირო არაა გამოკითხვების ჩატარება ყველა PAC-ის შინამეურნეობაში ან ყველა PAC-ის ლიდერებთან (იხ. მე-8 თავი, SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიში). ESIA-ს დამატებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება იგივე საერთო მიდგომას მონაცემთა არასაკმარისობის მენეჯმენტისადმი.

ორივე კვლევის არსებითი მიზანია შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთების სიახლოვეს მდებარე PAC-ებში არსებული სოციალური, ჯანდაცვის, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურის / მომსახურების მდგომარეობისა და ტენდენციების შესახებ ინფორმაციის შეგროვება.

შინამეურნეობათა კვლევის მიზანია პირველადი მონაცემების შეგროვება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა შინამეურნეობათა შემადგენლობა, განათლების დონე, მიწათმფლობელობა / მიწათსარგებლობა, შემოსავლები / ხარჯები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ინფრასტრუქტურის / კომუნალური მომსახურებისა და, ზოგადად, სხვადასხვა ობიექტისა და მომსახურების ხელმისაწვდომობა და შემოთავაზებული მილსადენის დამატებით მონაკვეთებთან დაკავშირებით რესპონდენტების მოლოდინი და შეშფოთება. შეგროვდა კონკრეტული ინფორმაცია ორ მოწყვლად ჯგუფზე: რეგისტრირებულ უნარშეზღუდულ პირებზე / ქრონიკულ ავადმყოფებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებზე -ებზე. PAC-ების დონის კვლევის მიზანია პირველადი მონაცემების შეგროვება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მოსახლეობის რაოდენობა, მიგრაცია, დასაქმება, უნარ-ჩვევები და საარსებო საშუალებები, შემოსავლები და სოციალური (მაგ., სკოლები) და ფიზიკური (მაგ., სასმელი წყლის მომარაგების ქსელი) ინფრასტრუქტურის არსებობა / უქონლობა.

კვლევების სიზუსტისა და SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად შინამეურნეობათა ინტერვიუების საფუძვლად გამოყენებული იქნა იგივე კითხვარები. ამის მსგავსად, PAC-ების ლიდერების ინტერვიუები ემყარებოდა ნახევრად სტრუქტურირებულ კითხვარებს.

ხუთი PAC-დან სამი - არალი, ნაოხრები, ქოთიში და ხაიში - შეყვანილი იყო SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის მომზადების პროცესში ჩატარებულ შინამეურნეობათა და PAC-ების კვლევებში. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, საჭირო არაა კვლევის ჩატარება ყველა PAC-ში, არამედ, მხოლოდ PAC-ების რეპრეზენტატიული დანიმუშებით. აქედან გამომდინარე, ქოთიში და ხაიში არ იქნა შეტანილი საველე სამუშაოების პროგრამაში და, შესაბამისად, SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის მომზადების პროცესში, ქოთიშში და ხაიშში არ ჩატარებულა შინამეურნეობათა ან PAC-ის ლიდერებთა ინტერვიუები. ESIA-ს დამატების

სოციო-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერაში, PAC-ების ადექვატური რეპრეზენტატიულობის უზრუნველსაყოფად, გადაწყდა, რომ ყურადღება გამახვილებულიყო PAC-ებზე, რომლებიც არ იქნა შეყვანილი SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის მომზადების პროცესში ჩატარებულ შინამეურნეობათა და PAC-ების დონის კვლევებში; ეს PAC-ებია: ხაიში, ქოთიში და პატარა დურნუკი. ამ PAC-ების ზომის, ეთნიკური შემადგენლობის და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გადაწყდა PAC-ის დონის კვლევა ჩატარდეს სამივე PAC-ში; თუმცა გადაწყდა ხაიშსა და პატარა დურნუკში (ქოთიში სოციო-ეკონომიკური და ეთნიკური თვალსაზრისით ჩაითვალა ხაიშის იდენტურად) ჩატარებულიყო შინამეურნეობების დონის კვლევა.

კვლევების გამეორება არალსა და ნაოხრებში არ ჩაითვალა საჭიროდ, რადგანაც SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის გამოქვეყნებიდან საკმარისი დრო არ იყო გასული რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების მოსახდენად. გარდა ამისა, ვინაიდან, შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთების გასწვრივ მომთაბარე მესაქონლეები დაფიქსირებული არაა, PAC-ების მაცხოვრებლების შინამეურნეობათა კვლევა იძლევა მონაცემებს, რომლებიც შესაბამისია მოსახლეობის უფრო ფართო ნაწილისთვის.

8.2.2.2. საველე კვლევის მეთოდები

შინამეურნეობათა კვლევის მეთოდის რამდენიმე ვარიანტის განხილვის შემდეგ გადაწყდა, რომ მომხდარიყო აღნიშნული ორი PAC-ის მოსახლეობის გაერთიანება (მოსახლეობის საერთო რაოდენობა - 628) და SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის შინამეურნეობათა კვლევაში PAC-ის ზომების მიხედვით შინამეურნეობათა ინტერვიუების გადანაწილების პრინციპის ხელახლა განხილვა. SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის მომზადების პროცესში, გამოიკითხა 25-30 შინამეურნეობა 600-650-მაცხოვრებლიან PAC-ში. შესაბამისად, ხაიშისა და პატარა დურნუკის შინამეურნეობათა ნიმუშის ზომა განისაზღვრა 15-ით (5 - პატარა დურნუკსა და 10 - ხაიშში, მოსახლეობის რაოდენობაში განსხვავების, სულ მცირე, ნაწილობრივი ასახვის მიზნით). აგრეთვე, დაიგეგმა შინამეურნეობათა დამატებითი 10 ინტერვიუ იმ პირებისთვის, რომლებზეც მოსალოდნელია ზემოქმედება მიწის დროებითი ან პერმანენტული გამოყოფის შედეგად. ასეთ პირებს ეწოდებათ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები (PAP). მთლიანობაში ინტერვიუების რაოდენობა 25 იყო. PAP-ების დამატებითი ინტერვიუები ჩატარდა ნაოხრებსა და არალში. SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის ანალოგიურად, დაწესდა ორი ქვოტა (შინამეურნეობათა საერთო ნიმუშიდან თითოეული - 15%) ორი გამოვლენილი მოწყვლადი ჯგუფისათვის ადექვატური ინფორმაციის შეგროვების უზრუნველსაყოფად, მათი სოციო-ეკონომიკური მახასიათებლებისა და ჩვეულებრივ მოსახლეობასთან მათი მსგავსების / განსხვავების დონის დასადგენად.

შინამეურნეობათა კვლევის შედეგები ინტეგრირებული იქნა SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის კვლევის შედეგებთან იმ PAC ჯგუფებისთვის, რომლებიც განლაგებულია შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთების სიახლოვეს. ყველა PAP-თან ინტერვიუს შედეგები ინტეგრირებული იქნა SCP და BTC პროექტებთან დაკავშირებით BP-ის მიერ ჩატარებული PAP-ების კვლევის შედეგებთან და მომავალში გამოყენებული იქნება მონიტორინგის დროს; თუმცა, ESIA-ს დამატებაში ეს შედეგები წარმოდგენილი არ არის (იხ. თავი 8.6 მიწის გამოყენების და მიწათსარგებლობის შესახებ).

ეს მიდგომა უზრუნველყოფს ინტერვიუების რაოდენობას, რომელიც აღემატება 95%-იანი ზღვრული სანდოობისა და +/- 2.82%-იანი დასაშვები ცდომილების სტატისტიკური პარამეტრების საფუძველზე განსაზღვრულ რაოდენობას, რომელიც გამოყენებული იქნა SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშისათვის და ნიმუშების ზომის დასადგენად.

PAC-ის დონის კვლევები ჩატარდა ხაიშში, ქითიშში და პატარა დურნუკში, PAC-ის ლიდერების გამოკითხვის გზით. გამოკითხვის დროს გამოყენებული მეთოდი და მასალები ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მომზადების დროს გამოყენებული მეთოდისა და მასალების ანალოგიური იყო.

დამატებითი კვლევების შედეგები (შინამეურნეობათა და PAC-ების დონეზე) იძლევა სოციო-ეკონომიკურ მონაცემებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთების სიახლოვეს სოციო-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობის სარწმუნოდ დასახასიათებლად ESIA-ს დამატების მიზნებისათვის. ქვემოთ მოცემულია საკვანძო ინფორმაცია ხუთივე PAC-ზე (იხ. ცხრილი 8-1). PAC-ების ადგილმდებარეობა ნაჩვენებია დანართ A-ში მოყვანილ რუკებზე.

ახალი კვლევების შედეგების SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშისათვის ჩატარებული სამუშაოების შედეგებთან ინტეგრაციის შემდეგ მონაცემები წარმოდგენილია ორი PAC ჯგუფისთვის:

- დაბლობის/ბარის PAC-ების ჯგუფი, რომელიც განლაგებულია შემოთავაზებული პარალელური მილსადენის (კმ ნიშნულები 0 – 62.3), შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის (კმ ნიშნულები 57-62.3) სიახლოვეს[1]
- მთის PAC-ების ჯგუფი, რომელიც განლაგებულია შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის (PRMS კმ ნიშნულები 0-2.5) სიახლოვეს.

განახლდა მონაცემები ბარის PAC-ების შესახებ ხაიშისა და პატარა დურნუკის მონაცემების დამატების ხარჯზე, ხოლო მთის PAC-ების შესახებ მონაცემები იდენტურია SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციისა. იმის გათვალისწინებით, რომ ESIA-ს დამატება თანაბრად ეხება მილსადენის ორივე შემოთავაზებულ დამატებით მონაკვეთს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შედარებადი ფონური მონაცემების ერთად წარდგენა, რომლებიც შესაბამისია შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთების სოციო-ეკონომიკური ზემოქმედების შესაფასებლად მათ სიახლოვეს მდებარე PAC-ებზე.

[1] არსებითად, პარალელური მილსადენის PAC-ების SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშში მოყვანილი სოციო-ეკონომიკური მონაცემები განახლდა პატარა დურნუკისა და ხაიშის შინამეურნეობათა კვლევის შედეგების დამატებით.

ცხრილი 8-1: პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები (მსხვილი დახრილი შრიფტით): ეთნიკური წარმომავლობა, მოსახლეობა, „ინტერვიუს“ ენა, გამოკვლეული PAC-ები და შინამეურნეობების კვლევის ნიმუშების განაწილების დეტალები

საპროექტო ტერიტორია	მუნიციპალიტეტი	ტერიტორიული ორგანო	PAC-ები (5)	ეთნიკური წარმომავლობა[2]	მოსახლეობა (დაახლოებით[3])	ენა	PAC კვლევა (2)	შინამეურნეობათა კვლევა (2)	შინამეურნეობათა კვლევის ნიმუშის განაწილება (სულ - 15)
მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთი	თეთრიწყარო	დურნუკი	***პატარა დურნუკი***	სომხური, ქართული და აზერბაიჯანული	28	ქართული	დიახ	დიახ	5
	თეთრიწყარო	ხაიში	***ხაიში***	ქართული	600	ქართული	დიახ	დიახ	10
	თეთრიწყარო	მარაბდა	***ქოთიში***	ქართული	120	ქართული	დიახ	არა	0 (0 SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშისათვის)
მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი	ადიგენი	არალი	***არალი***	ქართული	1850	ქართული	არა	არა	0 (5 SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშისათვის)
	ახალციხე	წყალთბილა	***ნაოხრები***	სომხური	750	რუსული	არა	არა	0 (30 SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშისათვის)

[2] მითითებულია მხოლოდ ძირითადი ეთნიკური ჯგუფი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განაწილება ჯგუფების მიხედვით დაახლოებით თანაბარია.
[3] პატარა დურნუკის, ხაიშის და ქოთიშის მოსახლეობის მიახლოებითი რაოდენობა ემყარება PAC-ების კვლევის შედეგებს. არალისა და ნაოხრების შემთხვევაში რაოდენობები იგივეა, რაც მითითებულია SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშში.

8.3 სოციო-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობა

ინფორმაცია PAC-ების საკვანძო მახასიათებლების შესახებ მოყვანილია შემდეგ თავებში:

- მოსახლეობა
- ჯანდაცვა
- მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა
- ეკონომიკა, დასაქმება, საარსებო საშუალებები და უნარ-ჩვევები
- ინფრასტრუქტურა და მომსახურება
- საგზაო მოძრაობა და ტრანსპორტი.

გამოვლენილია PAC-ების ორი ჯგუფი: ბარის PAC-ები, რომლებიც მოიცავს პარალელური მილსადენის (კმ ნიშნულები 0-62.3) სიახლოვეს მდებარე დასახლებებს და მთის PAC-ები, რომლებიც განლაგებულია შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის სიახლოვეს (PRMS; კმ ნიშნულები 0-2.5). ეს ორი ჯგუფი შედარებულია მოცემულ და მომდევნო თავებში PAC-ებს შორის მსგავსებისა და განსხვავების გამოსავლენად. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ESBR-is დამატების I დანართში.

8.4 მოსახლეობა

SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის ანალოგიურად, ინფორმაცია ორი მოწყვლადი ჯგუფის (რეგისტრირებული უნარშეზღუდული პირები / ქრონიკული ავადმყოფები და იძულებით გადაადგილებული პირები) შესახებ წარმოდგენილია წინამდებარე ქვეთავში, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია მოსახლეობის დახასიათებაზე.

8.4.1 შემოთავაზებული პარალელური მილსადენი (კმ ნიშნული 0-62.3)

აღნიშნული PAC ჯგუფის შესახებ შინამეურნეობათა გამოკვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის წარდგენამდე ამ ქვეთავში მოყვანილია პატარა დურნუკის, ხაიშის და ქოთიშის შესახებ ზოგიერთი საკვანძო მონაცემი, რომელიც ემყარება PAC-ების დონეზე ჩატარებულ კვლევებს. ორივე დასახლება სოფლის ტიპისაა; საარსებო საშუალებების უდიდესი ნაწილი უკავშირდება თვითდასაქმებას სოფლის მეურნეობაში (თუმცა საარსებო საშუალებების მეტი მრავალფეროვნებაა ხაიშსა და ქოთიშში, სადაც სამუშაო ასაკში მყოფი ადამიანების დაახლოებით 30-40% დასაქმებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში). ორივე დასახლებაში შინამეურნეობათა საშუალო თვიური შემოსავალია 300 ლარი ან ნაკლები (საშუალო თვიური შემოსავალი პატარა დურნუკში დაახლოებით 50-100 ლარით უფრო დაბალია, ვიდრე ხაიშსა და ქოთიშში). თუმცა ამ ორ სოფელს შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავებაა:

- პატარა დურნუკის მოსახლეობა (28 მცხოვრები) შერეული ეთნიკური წარმომავლობისაა და წარმოდგენილია ქართველების, აზერბაიჯანლებისა და სომხების თითქმის თანაბარი რაოდენობით, მაშინ როცა ხაიში და ქოთიში, თითქმის მთლიანად ქართველებითაა დასახლებული. ხაიშის და ქოთიშის მოსახლეობა (დაახლოებით 600 და 120 მოსახლე, შესაბამისად) ხასითდება ზრდის ტენდენციით. ამ ორივე PAC-ში სვანეთიდან მოხდა შინამეურნეობების შემოდინება; გარდა ამისა ქოთიშში დასახლდნენ შინამეურნეობები აფხაზეთიდან. ქოთიშში, PAC-ის ლიდერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ჩამოსახლებულმა შინამეურნეობებმა დაიკავეს ეთნიკური ბერძნების

სახლები, რომლებიც ემიგრაციაში წავიდნენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ყველა შიდა მიგრანტი აფხაზეთიდან და ზოგიერთი სვანეთიდან წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირს (IDP) (აფხაზი დევნილები გაექცნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, ხოლო სვანების ნაწილი ჩამოსახლებული იქნა მეწყერების გამო[4]). ხაიშისადა ქოთიშისგან განსხვავებით, პატარა დურნუკში მოსახლეობის რაოდენობა მცირდება ნაწილობრივ მოსახლეობის ემიგრაციის გამო. გარდა ამისა, პატარა დურნუკში მოხუცების წილი უფრო მაღალია (შინამეურნეობათა 100%-ში არის ერთი ოჯახის წევრი, რომელიც იღებს პენსიას, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი ხაიშსა და ქოთიშში 35% და 20%-ია, შესაბამისად).

- ინფრასტრუქტურა / მომსახურება: პატარა დურნუკთან შედარებით, ხაიშის და ქოთიშის შინამეურნეობებისათვის უფრო ხელმისაწვდომია საკვანძო კომუნალური მომსახურება, როგორიცაა ელექტროდენი და გაზი; ასევე ხაიშში პატარა დურნუკთან და ქოთიშთან შედარებით, უფრო ხელსმისაწვდომია სხვა ობიექტები / სერვისები (მაგ., ხაიშში არის სკოლა და ქირურგიული კაბინეტი). ქოთიში და პატარა დურნუკი შედარებით მცირე სოფლებია და ინფრასტრუქტურების არარსებობა სავარაუდოდ აიხსნება მოსახლეობის მცირე რაოდენობით. გზის ხარისხი და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობაც ხაიშში უკეთესია, ვიდრე პატარა დურნუკსა და ქოთიშში. ხაიშსა და ქოთიშში, აგრეთვე, მოწყობილია ცენტრალური სარწყავი სისტემა (თუმცა ქოთიშში სარწავი სისტემა საჭიროებს შეკეთებას), რაც არ არსებობს პატარა დურნუკში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ხაიში და ქოთიში სიცოცხლისუნარიანი დასახლებებია, მაშინ, როდესაც, პატარა დურნუკი ხასიათდება მოსახლეობის დაბერებითა და კლებით და შეიძლება არ იყოს მდგრადი დასახლება საშუალო- და გრძელვადიან პერსპექტივაში.

შემოთავაზებული პარალელური მილსადენის აღმოსავლეთის მონაკვეთის სიახლოვეს არსებული PAC-ები, საერთო ჯამში, ხასიათდება ეთნიკური მრავალფეროვნებით, თუმცა უფრო მცირე PAC-ები ეთნიკურად და სოციო-ეკონომიკურად შედარებით ერთგვაროვანია; მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მცირე დასახლების მოსახლეობა ეთნიკურად შერეულია (მაგ., პატარა დურნუკი).

გენდერული სურათის მიხედვით, ქალები ოდნავ ჭარბობენ მამაკაცებთან შედარებით (51.4% და 48.6% შესაბამისად), რაც უფრო თანაბარი ბალანსია, ვიდრე მთებში მდებარე დასახლებებში, რომლებიც განლაგებულია შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის სიახლოვეს. შინამეურნეობების ზომა და ასაკიც უფრო ახლოსაა ეროვნულ მონაცემებთან, ვიდრე მთებში მდებარე დასახლებების შემთხვევაში. თუმცა, მთიანი რეგიონებისგან განსხვავებით, ბარში ფიქსირდება 35-44 ასაკობრივი ჯგუფის ადამიანების სიმცირე, რაც მიგრაციის მანიშნებელია. 65 წელს გადაცილებული მოსახლეობა 6.3%-ს შეადგენს (ეს ციფრი ნაკლებია, ვიდრე პენსიონრების რიცხვი - დაახლოებით 10%) და მნიშვნელოვნად უფრო დაბალია, ვიდრე მთებში მდებარე დასახლებებში (იხ. სურათი 8-1).

[4] ეს არის საერთაშორისო დონეზე მიღებული ტერმინოლოგია, რომელიც ბუნებრივი კატასტროფების და კონფლიქტების გამო გადააგილებულ ადამიანებს აღწერს როგორც IDP-ებს; თუმცა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მხოლოდ კონფლიქტის შედეგად გადააგილებულ ადამიანებს ეწოდებათ IDP.



სურათი 8-1: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შინამეურნეობების სტრუქტურა

მოსახლეობის თითქმის 35% სწავლობდა უმაღლეს (პროფესიულ) სასწავლებელში, დაახლოებით 21%-ს აქვს უნივერსიტეტის დონის კვალიფიკაცია და 11%-ს - „ტექნიკური“ კვალიფიკაცია. ეს ციფრები გაცილებით მაღალია, ვიდრე მთიანი რეგიონების დასახლებებში. მაღალი მაჩვენებელი უკავშირდება იმ ფაქტს, რომ აღნიშნულ ზონაში მოხვედრილია ქალაქი რუსთავი და რამდენიმე პატარა ქალაქი. განათლების არმქონე ადამიანების რიცხვი ოდნავ მაღალია (10.4%), ვიდრე მთიან დასახლებებში, მაგრამ დაწყებითი განათლების მქონე ადამიანების რაოდენობა უფრო დაბალია (იხ. სურათი 8-2). საბოლოო ჯამში, დაახლოებით 50% დაოჯახებულია და 41%-ზე ოდნავ მეტი - დაუოჯახებელი. განქორწინებულებისა და ქვრივების რაოდენობა შესაბამისად 2.5% და 6.6%-ს შეადგენს (იხ. სურათი 8-2). დაოჯახებულთა და დაუოჯახებელთა რაოდენობა ოდნავ ნაკლებია, ვიდრე მთიან რეგიონებში. ქვრივების რაოდენობა კი მნიშვნელოვნად ნაკლებია მთიან რეგიონებთან შედარებით, სადაც ეს ციფრი 15%-ს ოდნავ აღემატება. ეს მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ ბარში მდებარე დასახლებებში მოსახლეობა უფრო „ახალგაზრდაა.“ ქართველები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ (დაახლოებით 70%). აზერბაიჯანელი მოსახლეობა თითქმის 27%-ს შეადგენს, რუსი ეროვნების მოსახლეობა 2.4%-ია, ოსები თითქმის 1%-ს შეადგენენ, ხოლო სხვა ეთნიკური წარმომავლობის მაცხოვრებელთა რიცხვი ძალიან დაბალია. რელიგიური აღმსარებლობა იმეორებს ეთნიკურ წარმომავლობის მახასიათებელს (იხ. სურათი 8-3).



სურათი 8-2: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - განათლების დონე და ოჯახური მდგომარეობა



სურათი 8-3: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - ეთნიკური წარმომავლობა და რელიგიური აღმსარებლობა

რესპონდენტების დაახლოებით 73% უკვე 21 წელზე მეტია, რაც ერთ ადგილზე ცხოვრობს და დაახლოებით 7.5% 5 წლის წინ დასახლდა მათ ახლანდელ საცხოვრებელ ადგილზე. მთიანი დასახლებებისგან განსხვავებით, ბოლო 15 წლის განმავლობაში ბარის დასახლებებში დაფიქსირდა მოსახლეობის შემოდინება, თუმცა, კლებადი ტემპით. მაცხოვრებლების 40%-დან, რომლებმაც ბოლო 4 წლის მანძილზე შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი, მიახლოებით 40% აქ დასახლდა იაფი საცხოვრებლის ძიებაში, ხოლო დაახლოებით 26% იძულებული გახდა გადასახლებულიყო შეიარაღებული კონფლიქტის გამო. მხოლოდ 21% გადასახლდა იმ მოსაზრებით, რომ ახალ საცხოვრებელ ადგილზე უფრო ხელსაყრელი ეკონომიკური პირობები იყო (იხ. სურათი 8-4 და სურათი 8-5).



სურათი 8-4: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - PAC-ებში ცხოვრების ხანგრძლივობა



სურათი 8-5: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - ახლანდელ საცხოვრებელ ადგილზე გადმოსახლების მიზეზები (ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გადმოსახლებული ოჯახები)

მხოლოდ ალკოჰოლი და დანაშაული მიიჩნევა მნიშვნელოვან და ფართოდ გავრცელებულ სოციალურ პრობლემად აღნიშნულ დასახლებებში. ეს მოსაზრება გამოხატა რესპონდენტების შედარებით მცირე ნაწილმა, შესაბამისად 1% და 3%-მა. ზოგიერთ ჯგუფში დანაშაული, ალკოჰოლი, ნარკოტიკი და განქორწინება ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებად ითვლება, მაგრამ ამ მოსაზრების მქონე რესპონდენტების რაოდენობა აგრეთვე მცირეა, გამონაკლისი მხოლოდ ალკოჰოლის პრობლემაა. მთლიანობაში, ალკოჰოლი ითვლება ძირითად სოციალურ პრობლემად, მეორე და მესამე ადგილზეა განქორწინება და დანაშაული. ძალადობის ფაქტები იშვიათია (იხ. სურათი 8-6).



სურათი 8-6: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - სოციალური პრობლემები

8.4.2 შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი (PRMS კმ ნიშნულები 0-2.5)

როგორც უკვე აღინიშნა 8.2.2 თავში, PAC-ების ამ ჯგუფისათვის მონაცემები არ განახლებულა, რადგანაც შინამეურნეობათა დამატებითი გამოკითხვები არ ჩატარებულა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ სოციო-ეკონომიკური პირობები შესამჩნევად შეცვლილიყო SCPX ESIA საბოლოო ანგარიშის მომზადების შემდეგ.

PAC-ების ეს ჯგუფი მოიცავს ორ შედარებით მსხვილ დასახლებას; მათთან შედარებით დანარჩენი PAC-ები ძალიან მცირეა. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ უფრო მსხვილი დასახლებების მახასიათებლები ზეგავლენას მოახდენს შინამეურნეობათა კვლევის შედეგებზე. ამან შეიძლება გარკვეულწილად შენიღბოს უფრო მცირე PAC-ების მახასიათებლები, თუმცა მათი მონაცემები მოყვანილია PAC-ების ლიდერებთან ჩატარებულ ინტერვიუებში, რომლებიც იძლევა სოციო-ეკონომიკური პირობების უფრო ფართო სურათს.

გენდერული სურათის მიხედვით, ქალების რაოდენობა (54.2%) აღემატება მამაკაცების რიცხვს და მათი წილი მოსახლეობაში გაცილებით მაღალია, ვიდრე ბარის PAC-ებში. მოსახლეობის ოცდაოთხი პროცენტი 65 წლის (ან მეტი) ასაკისაა და თითქმის 53% დაუოჯახებელი ან ქვრივია. ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება ბარის PAC-ების ანალოგიურ მახასიათებლებს. ოჯახების ზომა აგრეთვე განსხვავდება, კერძოდ - მაღალმთის PAC-ებში უფრო მეტია მცირერიცხოვანი ოჯახები (იხ. სურათი 8-7). გარდა ამისა, მოსახლეობის 18-34 წლის ასაკობრივი ჯგუფი უფრო მცირერიცხოვანია, ვიდრე ეს შეიძლება ვივარაუდოთ მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის ეროვნული სურათის შესწავლის საფუძველზე (იხ. სურათი 8-7).



სურათი 8-7: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - ოჯახების შემადგენლობა

მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს აქვს მიღებული საშუალოზე მაღალი განათლება და მხოლოდ 4%-ს აქვს 'ტექნიკური' კვალიფიკაცია. მოსახლეობის თითქმის 10%-ს განათლება არ მიუღია, თუმცა დაახლოებით 65%-ს მიღებული აქვს საშუალო განათლება. ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება ბარის PAC-ების მახასიათებლებისაგან. გარდა ამისა, ქვრივების რაოდენობა აღემატება ბარის PAC-ების ანალოგიურ მაჩვენებელს (იხ. სურათი 8-8).



სურათი 8-8: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - განათლების დონე და ოჯახური მდგომარეობა

ქართველები უდიდეს ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ (66.1%), შემდეგ ადგილზე არიან სომხები (32.2%) და სხვა მცირე ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც მოსახლეობის 1.6%-ს წარმოადგენენ. ზოგადად, რელიგიური აღმსარებლობაც ეთნიკური წარმომავლობის შესაბამისია (იხ. სურათი 8-9).



სურათი 8-9: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - ეთნიკური წარმომავლობა და რელიგიური აღმსარებლობა

შესწავლილი PAC-ები სტაბილურია იმ თვალსაზრისით, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკვე დიდი ხანია აქ ცხოვრობს. მაცხოვრებლების თითქმის 93% 21 წელია ან მეტია ამ დასახლებებში ცხოვრობს. ბარის PAC-ების ანალოგიური მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია (73%). მხოლოდ 2.4% გადმოვიდა საცხოვრებლად ბოლო 4 წლის განმავლობაში (იხ. სურათი 8-10). მაცხოვრებელთა უმეტესობა შესწავლილ PAC-ებში გადმოსახლდა ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად (45%) ან კონფლიქტის გამო. უკანასკნელი მიზეზით გადმოსახლებულთა პროცენტი უფრო მაღალია ბარის PAC-ებში (იხ. სურათი 8-11).



სურათი 8-10: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - PAC-ებში ცხოვრების ხანგრძლივობა



სურათი 8-11: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - ახლანდელ საცხოვრებელ ადგილზე გადმოსახლების მიზეზები (ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გადმოსახლებული ოჯახები)

სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული კონკრეტული კითხვების პასუხად, რესპონდენტების დაახლოებით 40%-მა ყველაზე გავრცელებულ სოციალურ პრობლემად ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება დაასახელა. თითქმის 20%-მა აღნიშნა, რომ ეს სერიოზული პრობლემაა გარკვეულ ჯგუფებში. რესპონდენტების 10%-ზე ნაკლებმა დაასახელა დანაშაული, როგორც მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემა. ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ ეს მძიმე პრობლემაა მცირერიცხოვან ჯგუფებში. შემდეგ პოზიციაზეა განქორწინება. ძალადობა (მათ შორის ოჯახშიც) ასევე პრობლემადაა აღქმული, მაგრამ რესპონდენტები მას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ და ამბობენ, რომ ძალადობის ფაქტები ძალიან უმნიშვნელოა (იხ. სურათი 8-12).



სურათი 8-12: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - სოციალური პრობლემები

8.4.3 სენსიტიური დემოგრაფიული საკითხები

ქვემოთ შეჯამებულია ფონური პირობების ის კომპონენტები, რომლებიც საინჟინრო პროექტის ცვლილებების კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანია მოსალოდნელი ზემოქმედებების თვალსაზრისით.

ყველა PAC-თვის ძირითადი სენსიტიური საკითხებია:

- მთის მცირე სოფლები ასაკოვანი მაცხოვრებლების / პენსიონრების დიდი რაოდენობით
- PAC-ები ერთწევრიანი ან მცირერიცხოვანი ოჯახების პროპორციულად უფრო მაღალი წილით, რადგანაც ასეთი ოჯახები უფრო ღარიბები არიან, ვიდრე დიდი ოჯახები
- PAC-ებში რეგისტრირებული უნარშეზღუდულების / ქრონიკული ავადმყოფებისა და იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობა. მთის PAC-ებში მეტია უნარშეზღუდულების / ქრონიკული ავადმყოფების რაოდენობა, მაშინ როდესაც ბარის PAC-ებში ჭარბობენ იძულებით გადაადგილებული პირები.

8.4.3.1 მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფები

შინამეურნეობათა გამოკვლევის მთავარი შედეგები მოსახლეობის ორ ქვოტასთან დაკავშირებით, როგორიცაა რეგისტრირებული უნარშეზღუდულები / ქრონიკული

ავადმყოფები[5] და იძულებით გადაადგილებული პირები, ქვემოთაა შეჯამებული მოსახლეობის თითოეული მოწყვლადი სოციალური კატეგორიისათვის. თითოეული კატეგორიის შედეგები შედარებულია PAC-ის მთლიანი მოსახლეობის შედეგებთან (რომლებიც აგრეთვე მოიცავს იმ რესპონდენტების პასუხებს, რომლებიც მიეკუთვნებიან რეგისტრირებული უნარშეზღუდულების / ქრონიკული ავადმყოფების ან იძულებით გადაადგილებული პირების კატეგორიას).

8.4.3.2 რეგისტრირებული უნარშეზღუდულები / ქრონიკული ავადმყოფები

ძირითადი შედეგები რეგისტრირებულ უნარშეზღუდულებთან / ქრონიკულ ავადმყოფებთან დაკავშირებით ქვემოთაა შეჯამებული:

- რეგისტრირებული უნარშეზღუდულების / ქრონიკული ავადმყოფების პროცენტული წილი მილსადენის 'აღმოსავლეთის მონაკვეთის' და 'დასავლეთის მონაკვეთის' PAC-ებისათვის შესაბამისად 2% და 7%-ია; ორივე პროცენტული მაჩვენებელი უფრო დაბალია, ვიდრე უნარშეზღუდულების წილი ქვეყნის მასშტაბით (მიახლოებით 9%).
- დაფიქსირდა, რომ რეგისტრირებული უნარშეზღუდულების / ქრონიკული ავადმყოფების მნიშვნელოვანი ნაწილი (30%) ცხოვრობს მარტო ან ერთ- ან ორწევრიან ოჯახში (15%). აღსანიშნავია, რომ ოჯახში წევრების რაოდენობის ზოგადი მაჩვენებლებით, ყველაზე უფრო გავრცელებულია ოთხწევრიანი ოჯახი.
- აღმოჩნდა, რომ რეგისტრირებული უნარშეზღუდულების / ქრონიკული ავადმყოფების მნიშვნელოვანი ნაწილი უფრო ასაკოვანია (65 წელი და მეტი) ძირითად მოსახლეობასთან შედარებით; აქედან გამომდინარე, მათ სამსახურის შოვნის ნაკლები შესაძლებლობა აქვთ (თუ მათ საერთოდ შეუძლიათ მუშაობა, თუმცა 66%-მა განაცხადა, რომ ისინი ეძებენ სამსახურს) და უფრო არიან დამოკიდებული პენსიაზე / სოციალურ დახმარებაზე.
- დადგინდა, რომ რეგისტრირებული უნარშეზღუდულების / ქრონიკული ავადმყოფების უფრო ნაკლებ ნაწილს აქვს საშუალოზე მაღალი განათლება, ძირითად მოსახლეობასთან შედარებით.
- აღმოჩნდა, რომ რეგისტრირებული უნარშეზღუდულების / ქრონიკული ავადმყოფების სახლები უფრო მეტად საჭიროებს რემონტს (დაახლოებით 45% აცხადებს, რომ მათი სახლები 20 წელზე მეტი ხნის წინ გარემონტდა, მაშინ როდესაც იგივე პრობლემა აქვს მთლიანი მოსახლეობის მიახლოებით 15%-ს).
- დაფიქსირდა, რომ გაზით მომარაგება ხელმისაწვდომია რეგისტრირებული უნარშეზღუდულების / ქრონიკული ავადმყოფების ნაკლები რაოდენობისათვის; ელექტროდენით მომარაგების მაჩვენებელი იგივეა, რაც ზოგადად მოსახლეობისათვის
- აღმოჩნდა, რომ ჩვეულებრივ მოსახლეობასთან შედარებით, გაცილებით მეტი რეგისტრირებული უნარშეზღუდული / ქრონიკული ავადმყოფი იყენებს შეშას საჭმლის მოსამზადებლად და, განსაკუთრებით, გასათბობად.
- დადგინდა, რომ რეგისტრირებული უნარშეზღუდულების / ქრონიკული ავადმყოფების დაახლოებით 25%-ს არ აქვს სასმელი წყალი სახლში (უმრავლესობას წყალი აქვს ეზოში); ჩვეულებრივი მოსახლეობის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 10%-ია
- აღმოჩნდა, რომ რეგისტრირებული უნარშეზღუდულების / ქრონიკული ავადმყოფების მეტ რაოდენობას (მიახლოებით 82%) გააჩნია მიწის ნაკვეთი ძირითად მოსახლეობასთან შედარებით (დაახლოებით 40%). გარდა ამისა, მეტ

[5] 'რეგისტრირებული' ეხება უნარშეზღუდულ პირებს და არა ქრონიკულ ავადმყოფებს

უნარშეზღუდულ პირს / ქრონიკულ ავადმყოფს ჰყავს საქონელი, თუმცა უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე მოსახლეობის სხვა ფენებს.

- დაფიქსირდა, რომ შემოსავლების მხრივ, რეგისტრირებული უნარშეზღუდულები / ქრონიკული ავადმყოფები თითქმის მთლიანად არიან დამოკიდებული პენსიებზე / სოციალურ დახმარებაზე; ამრიგად, მათ შემოსავლებში ნაკლები სეზონური ცვლილებებია.
- დადგინდა, რომ შინამეურნეობათა შემოსავლები, სადაც ოჯახის უფროსი რეგისტრირებული უნარშეზღუდული პირი / ქრონიკული ავადმყოფია, მნიშვნელოვნად ნაკლებია სხვა შინამეურნეობებთან შედარებით (დაახლოებით 165 ლარი / თვე თვეში 400 ლართან შედარებით)
- დაფიქსირდა, რომ რეგისტრირებული უნარშეზღუდულები / ქრონიკული ავადმყოფები (ოჯახების დაახლოებით 26%) მეტი ოდენობით მოიხმარენ საკუთარი წარმოების საკვებ პროდუქტს, ვიდრე მოსახლეობის სხვა ჯგუფები (ოჯახების 10%)
- აღმოჩნდა, რომ რეგისტრირებულ უნარშეზღუდულებს / ქრონიკულ ავადმყოფებს აღებული აქვთ ნაკლები კრედიტები (ერთი მესამედი) და კრედიტის საშუალო თანხა უფრო ნაკლებია, მოსახლეობის სხვა ფენებთან შედარებით (დაახლოებით 2200 ლარი მიახლოებით 3800 ლართან შედარებით)
- მოსახლეობის სხვა ჯგუფებთან შედარებით, თითქმის ორჯერ მეტ რეგისტრირებულ უნარშეზღუდულს / ქრონიკულ ავადმყოფს მიაჩნია, რომ მათ არ აქვთ საკმარისი ფული პირველადი საჭიროების პროდუქტების, მაგ., საკვების შესაძენად. უნარშეზღუდულ პირებს / ქრონიკულ ავადმყოფებს ნაკლები საყოფაცხოვრებო ტექნიკა აქვთ.

ზემოთ მოყვანილი შედეგები არსებითად გვიჩვენებს, რომ რეგისტრირებული უნარშეზღუდული პირები / ქრონიკული ავადმყოფები სოციალურად უფრო იზოლირებული არიან, მათი განათლების დონე უფრო დაბალია, ისინი ცხოვრობენ უარეს სახლებში და მათთვის ნაკლებადაა ხელმისაწვდომი სხვადასხვა ძირითადი ტიპის კომუნალური მომსახურება (გაზისა და სასმელი წყლის ცენტრალური მომარაგება); გარდა ამისა, ისინი გაცილებით უფრო ღარიბები არიან. აქედან გამომდინარე, ისინი უფრო მოწყვლადი არიან გარე სოციო-ეკონომიკური და კლიმატური რყევებისადმი (იმის გათვალისწინებით, რომ ნაკლები „ფული აქვთ ბანკებში“ შეტანილი და უფრო არიან დამოკიდებული საკუთარ კვების პროდუქტებსა და ტყის რესურსებზე საკვების დასამზადებლად და გასათბობად), ვიდრე მოსახლეობის სხვა ჯგუფების ნებისმიერი საშუალო წარმომადგენელი. თუმცა, მათ გააჩნიათ მიწის ნაკვეთები, რომელთა გაყიდვა და გარკვეული თანხის მიღება შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში.

8.4.3.3 იძულებით გადაადგილებული პირები

კვლევის მთავარი შედეგები იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებაში ქვემოთაა შეჯამებული:

- იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა (მიახლოებით 80%) ცხოვრობს მილსადენის ‘აღმოსავლეთის მონაკვეთის’ სიახლოვეს მდებარე რამდენიმე PAC-ში; დანარჩენი დევნილები მცირე რაოდენობით ცხოვრობენ სხვა PAC-ებში.
- დაფიქსირდა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად დიდ ოჯახებში ცხოვრობს (25% ცხოვრობს 5-წევრიან ოჯახებში, ხოლო 15% - ოჯახებში, სადაც 6-ზე მეტი წევრია). ეს ტენდენცია იმ ფაქტზე მიანიშნებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, დევნილები ნათესავებთან ცხოვრობენ (დევნილების ოჯახების 15%).

- იძულებით გადაადგილებული პირების თითქმის მესამედი (31%) მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ თავშესაფარში ცხოვრობს, ძირითადად ესაა საცხოვრებელი კორპუსები.
- დაფიქსირდა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების საშუალო საცხოვრებელი ფართი ნაკლებია, ვიდრე ზოგადად მოსახლეობის. ესეც იმის მანიშნებელია, რომ დევნილები ნათესავებთან ცხოვრობენ.
- გამოვლინდა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების შემთხვევაში არ ფიქსირდება უფრო მაღალი უმუშევრობის დონე PAC-ების სხვა მაცხოვრებლებთან შედარებით.
- დაფიქსირდა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების ნაკლები რაოდენობისათვისაა ხელმისაწვდომი ბუნებრივი აირით ცენტრალური მომარაგება დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით. მდგომარეობა ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით იგივეა, რაც მოსახლეობის სხვა ჯგუფებში.
- აღმოჩნდა, რომ გაცილებით მეტი იძულებით გადაადგილებული პირი იყენებს შეშას საჭმლის მომზადებისა და, განსაკუთრებით, გათბობის მიზნით, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა.
- დადგინდა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების ოდნავ მეტ რაოდენობას აქვს მიწის ნაკვეთი (50%), ვიდრე დანარჩენ მოსახლეობას (დაახლოებით 44%).
- დაფიქსირდა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების უფრო დიდ რაოდენობას ჰყავს საქონელი, ვიდრე დანარჩენ მოსახლეობას, თუმცა საქონლის რაოდენობა ერთიდაიგივეა, ძროხების გარდა (დევნილებს საშუალოდ 3 ძროხა ჰყავთ, დანარჩენ მოსახლეობაზე კი 2.4 ძროხა მოდის).
- გამოვლინდა, რომ შემოსავლების მხრივ, იძულებით გადაადგილებული პირები უფრო მეტად არიან დამოკიდებული სოციალურ დახმარებაზე, ვიდრე მოსახლეობის სხვა ჯგუფები.
- აღმოჩნდა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალი 282 ლარია, მაშინ როდესაც მოსახლეობის სხვა ჯგუფების შემთხვევაში, საშუალო შემოსავალი 400 ლარია.
- დაფიქსირდა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს აღებული აქვთ მეტი რაოდენობის კრედიტი (დაახლოებით 40%-ით მეტი), თუმცა კრედიტის საშუალო თანხა ნაკლებია, ვიდრე რეგისტრირებული უნარშეზღუდულების / ქრონიკული დაავადებების მქონე პირებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების შემთხვევაში (დაახლოებით 1900 ლარი, 2200 და 3800 ლართან შედარებით).
- უფრო მეტი იძულებით გადაადგილებული პირი (დაახლოებით 67%), ვიდრე ზოგადად მოსახლეობა (დაახლოებით 45%), თვლის, რომ არა აქვს საკმარისი ფული, რომ შეიძინოს ისეთი აუცილებელი პროდუქტი, როგორიცაა საკვები.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ იძულებით გადაადგილებული პირები არიან უფრო ღარიბი, მთავრობის მიერ გამოყოფილ თავშესაფარზე ან ნათესავებზე დამოკიდებული ადამიანები, რომლებსაც აქვთ ნაკლები საცხოვრებელი ფართი, ნაკლებად ხელმისაწვდომი ბუნებრივი აირი და სასმელი წყალი და აქვთ მეტი გადაუხდელი ვალი, მოსახლეობის სხვა ჯგუფებთან შედარებით. თუმცა, გამოკვლეული დევნილების უფრო დიდ რაოდენობას (დანარჩენ მოსახლეობაზე დაახლოებით 6%-ით მეტს) აქვს მიწის ნაკვეთი.

აღსანიშნავია, რომ შინამეურნეობების კვლევა არ იძლევა შედეგებს იძულებით გადაადგილებული პირების სოციო-ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ.

8.5 ჯანდაცვა

SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშში ჯანდაცვასთან დაკავშირებული მონაცემები მოყვანილი იყო ერთიანად, ყველა PAC-თვის და არ იყო დაყოფილი გეოგრაფიული ტერიტორიების მიხედვით. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია განახლებული მონაცემები მხოლოდ ბარის PAC-ებისათვის; ეს ინფორმაცია ემყარება ხაიშისა და პატარა დურნუკის შინამეურნეობათა გამოკვლევის შედეგების ინტეგრირებას SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშისათვის ჩატარებული შესწავლის მონაცემებთან. SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშში მოცემული ჯანდაცვასთან დაკავშირებული ყველა სხვა ეროვნული და რეგიონული მონაცემი კვლავაც მართებულია.

8.5.1 შემოთავაზებული პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3)

რესპონდენტების თითქმის ერთ მეხუთედს დასჭირდა სამედიცინო დახმარება ინტერვიუების ჩატარებამდე ერთი თვის განმავლობაში. დაახლოებით 30%-ს სამედიცინო დახმარება დასჭირდა კვლევამდე 1-დან 6 თვემდე პერიოდის განმავლობაში (სურათი 8-13).

სურათი 8-14 გვიჩვენებს, რომ ყველა რესპონდენტის 80%-ზე ოდნავ მეტს სამედიცინო დახმარება დასჭირდა სხვადასხვა დაავადების გამო. ყველა სხვა მიზეზი რაოდენობრივად მნიშვნელოვნად ნაკლები იყო სამედიცინო დახმარების თვალსაზრისით. მაგ., უბედური შემთხვევა ან ტრავმა მეორე ადგილზეა, თუმცა შეადგენს დაახლოებით 5%-ს.



სურათი 8-13: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - დროის პერიოდი სამედიცინო დახმარების ბოლო შემთხვევიდან



სურათი 8-14: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - მიზეზი, რის გამოც რესპონდენტებმა ბოლოჯერ მიმართეს სამედიცინო დახმარებას

ყველაზე გავრცელებული დაავადებები, რომლებიც საჭიროებდა სამედიცინო დახმარებას გამოკვლევის ჩატარებამდე ბოლო წლის განმავლობაში, იყო ვირუსული ინფექციები (50%), გულ-სისხლძარღვთა დაავადებები (38%) და კუჭ-ნაწლავის პრობლემები (20.3%).



სურათი 8-15: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - ყველაზე გავრცელებული დაავადებები, რის გამოც საჭირო გახდა სამედიცინო დახმარება ბოლო წლის განმავლობაში

პაციენტები, როგორც წესი, საავადმყოფოებს / პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტებს მიმართავენ გულ-სისხლძარღვთა ან კუჭ-ნაწლავის დაავადებების გამო. ვირუსული ინფექციების დროს კი ძირითადად თვითმკურნალობას მიმართავენ ან პოლიკლინიკის მომსახურებით სარგებლობენ. ადგილობრივ ექიმთან მიმართვის რაოდენობა დაბალია, უფრო ნაკლები, ვიდრე რესპონდენტების რაოდენობა, რომლებმაც კონსულტაციისათვის ადგილობრივ ფარმაცევტს მიმართეს (სურათი 8-16).



სურათი 8-16: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - გამოყენებული სამედიცინო მომსახურების ტიპები

რესპონდენტების უმრავლესობა (დაახლოებით 87%) თვლის, რომ წამლები ძალიან ძვირია; მხოლოდ 12%-ზე ოდნავ მეტს მიაჩნია, რომ წამლების ფასი ადვილად ხელმისაწვდომია. რესპონდენტების უმეტესობა (თითქმის 65%) თვლის, რომ მათი შესაძლებლობა წამლის შეძენის მხრივ არ შეცვლილა. დანარჩენებიდან დაახლოებით 10% და 27% თვლის, რომ წამლები უფრო ადვილად / რთულად საშოვნია, ვიდრე 5 წლის წინ (სურათი 8-17). აღსანიშნავია, რომ წამლების ფასთან დაკავშირებული პრობლემის გარდა, გამოკვლეულ შინამეურნეობათა უმრავლესობაში ოჯახის არცერთ წევრს არ ჰქონდა სამედიცინო დაზღვევა.



სურათი 8-17: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - მედიკამენტების ხელმისაწვდომობა

8.5.2 ჯანდაცვასთან დაკავშირებული სენსიტიური საკითხები

ქვემოთ შეჯამებულია ფონური მდგომარეობის კომპონენტები ჯანდაცვის სფეროში, რომლებიც ჩაითვალა ყველაზე მნიშნელოვნად საინჟინრო პროექტის ცვლილებებიდან გამომდინარე მოსალოდნელი ზემოქმედებების საფუძველზე:

- ტუბერკულოზის მაჩვენებელი საქართველოში ყველაზე მაღალია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის; ამასთან, მულტირეზისტენტული ტუბერკულოზი მნიშვნელოვანი ახალი პრობლემაა. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ტუბერკულოზის მაჩვენებლებით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა.
- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შეწყდა ზოონოზური და ტრანსმისიული დაავადებების კვლევისა და კონტროლის პროგრამები. ცოფი, ჯილეხი, ტულარემია, იერსინია (*Yersinia pestis*), ბრუცელოზი და ლეიშმანიოზი ენდემური დაავადებებია საპროექტო ტერიტორიაზე.
- შეშის გამოყენება გასათბობად და საჭმლის მოსამზადებლად აბინძურებს ჰაერს და აუარესებს შენობაში არსებული ჰაერის ხარისხს, რადგან, სოფლის სახლებში ვენტილაციის სისტემა არ არის ადექვატური. ოჯახები, რომლებიც შეშას იყენებენ საჭმლის მოსამზადებლად და გასათბობად, იმყოფებიან სასუნთქი გზების ინფექციებით დაავადების მომატებული რისკის ქვეშ
- წყლის ხარისხი და ხელმისაწვდომობა, ისევე, როგორც ნარჩენების განთავსებისა და სანიტარულ-ტექნიკური ნაგებობები, ცუდ მდგომარეობაშია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ზოგიერთ სოფელში. წყალთან და სანიტარულ-ტექნიკურ ნაგებობთან დაკავშირებული დაავადებები, სავარაუდოდ, უფრო გავრცელებულია სოფლის დასახლებებში.
- PAC-ების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მედიკამენტების ფასი ხელმისაწვდომი არაა და მოსახლეობის დაახლოებით 30%-სთვის წამლების შეძენა ბოლო 5 წლის განმავლობაში უფრო გართულდა. გარდა ამისა, მედიკამენტების ხელმისაწვდომობაც დაბალია.

8.6 მიწის გამოყენება და მიწათსარგებლობა

ანგარიშის ამ ნაწილში აღწერილია მიწის ნაკვეთების ტიპები წინამდებარე ESIA-ის დამატებაში განხილულ ტერიტორიებზე და PAC-ების შინამეურნეობათა მიერ მიწის გამოყენება. ეს ქვეთავი ეფუძნება იგივე მონაცემებს, რასაც მთელი თავი (იხ. ქვეთავი 8.2) .

8.6.1 პარალელური მილსადენის კმ ნიშნულები 0-63

მთიანი რეგიონების PAC-ებისაგან განსხვავებით, შინამეურნეობების ნაკლები რაოდენობა (დაახლოებით 44%) ფლობს მიწას. აქ მიწა უფრო ძვირია ისეთ მსხვილ ქალაქებთან, როგორიცაა თბილისი, რუსთავი და მარნეული, სიახლოვის გამო. მიწის ნაკვეთები, ჩვეულებრივ, უფრო დიდია; ზოგიერთ შემთხვევაში ისინი დაკავებულია ან გამოიყენება მსხვილი აგრო-საწარმოების მიერ. PAC-ების ბევრ შინამეურნეობას არა აქვს მიწის შეძენის საშუალება (30%) ან არ მიუწვდებათ ხელი მიწაზე (27%), მიწის ნაკვეთზე 'შესვლის' უფლებასთან დაკავშირებული ხარჯების გამო. მიწის ნაკვეთი იჯარით არა აქვს აღებული PAC-ების თითქმის არცერთ მაცხოვრებელს (იხ. სურათი 8-18), თუმცა მიწის ზოგიერთ მესაკუთრეს ნაკვეთები იჯარით აქვს გაცემული კომპანიებზე ან მსხვილ ფერმერებზე.

შინამეურნეობების დაახლოებით 14% ფლობს, მაგრამ არ იყენებს მიწას. ეს უმთავრესად გამოწვეულია საქართველოში განხორციელებული პრივატიზაციის პროცესით, როდესაც როგორც სოფლების, ისე ქალაქების მაცხოვრებლებს გამოეყოფოდათ მცირე მიწის ნაკვეთები. ზემოაღნიშნული განსაკუთრებით ეხება მარნეულისა და რუსთავის

შემოგარენს. სოფლების მაცხოვრებლები ძირითადად ამუშავებენ მათ კუთვნილ ნაკვეთებს, ხოლო ქალაქების მაცხოვრებლები ამას ვერ ახერხებენ; თუ უკანასკნელნი ვერ შეძლებენ კუთვნილი ნაკვეთების იჯარით გაცემას, ისინი გამოუყენებელი რჩება. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მიწის ნაკვეთების საშუალო ფართობი ოჯახზე თითქმის 0.2 ჰექტარია, რაც მიანიშნებს, რომ შეზღუდული ფართობის მიწაა ხელმისაწვდომი პოტენციური სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებლად. ვითარება კარდინალურად განსხვავებულია მთის PAC-ებში.

მიწის მესაკუთრე შინამეურნეობების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა (96%) ფლობს ბაღს ან ეზოს (თუმცა, ასეთი ნაკვეთები განლაგებულია დასახლებული პუნქტების სიახლოვეს და არ ხვდება SCPX პროექტის ზემოქმედების ქვეშ). თუმცა, მთის PAC-ებისაგან განსხვავებით, ბარის PAC-ებში გაცილებით მცირე რაოდენობის შინამეურნეობას აქვს სხვა მიწის ნაკვეთები საკუთრებაში. მხოლოდ 20% ფლობს მიწას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად (თითოეულ შინამეურნეობაზე საშუალოდ 0.2 ჰექტარი). დაახლოებით 5%-ს აქვს ვენახი / ხეხილის ბაღი (საშუალოდ 0.08 ჰექტარი); 1%-ზე ნაკლები ფლობს სათიბს (საშუალოდ 0.3 ჰექტარი). აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად არ ხდება მიწის გამოყენება მხოლოდ საძოვრებად (აქ საქონლის რაოდენობა ძალიან მცირეა მილსადენით გადაკვეთილი მთიან ტერიტორიებთან შედარებით).



სურათი 8-18: მიწის საკუთრება და შეძენა

ცხრილი 8-2: მიწის საკუთრება, მიწათსარგებლობის ტიპები და საშუალო ნაკვეთის ფართობი

მიწის / სარგებლობის ტიპი	საკუთრება	საშუალო ფართობი (მ²)
საკარმიდამო ნაკვეთი (სახლი და ეზო / ბაღი)	95.7%	213
საკუთრებაში მაქვს, თუმცა ვერ ვიყენებ	14.1%	1838
სახნავი მიწა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის	20.5%	2011
ვენახი, ხეხილის ბაღი, ბოსტანი	4.5%	764
სათიბად გამოყენებული მინდვრები	0.6%	3195

შინამეურნეობების თითქმის თანაბარი რაოდენობა (დაახლოებით 14%) ფლობს საქონელსა და შინაურ ფრინველს (თითოეულ ოჯახს საშუალოდ 2-3 ძროხა და 17-18 ფრინველი ჰყავს). შინამეურნეობების 3%-ზე ნაკლებს ჰყავს ღორი და ცხვარი (საშუალოდ 2 ღორი და 6 ცხვარი). შინამეურნეობების მხოლოდ 0.2% ეწევა მეფუტკრეობას (საშუალოდ 8.5 სკა თითოეულ შინამეურნეობაზე).

მთლიანობაში, ზემოაღნიშნულ PAC-ების ეკონომიკისათვის სოფლის მეურნეობა არ არის ისეთი კრიტიკული მნიშვნელობის, როგორც მთის PAC-ებში, ვინაიდან, საარსებო საშუალებები მოიცავს სხვადასხვა წყაროს უფრო ფართო დიაპაზონს, სოფლის მეურნეობისა და ახლომდებარე ქალაქებსა და მომსახურების სფეროს მცირე საწარმოებში ხელფასზე მუშაობის ჩათვლით. მიუხედავად ამისა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წილი საკმაოდ დიდია, რაც მიუთითებს, რომ სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა ზოგიერთ პატარა სოფელში, სავარაუდოდ, იგივეა, რაც მთის PAC-ებში.

8.6.2 შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი (PRMS კმ ნიშნულები 0-2.5)

PAC-ების შინამეურნეობათა დაახლოებით 78% ფლობს მიწის ნაკვეთებს. თითქმის არავის არ აქვს მიწა იჯარით აღებული. მიახლოებით 22%-ს საკუთრებაში აქვს მიწის ნაკვეთები, თუმცა, მათ არ იყენებს, რაც, სავარაუდოდ, უკავშირდება მოსახლეობის მნიშვნელოვან გადინებას ოთხმოცდაათიან წლებსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში. ასეთი ნაკვეთების საშუალო ფართობია 3.4 ჰა ერთ ოჯახზე. ყველაზე პატარა ნაკვეთები ბაღ-ბოსტნებადაა გამოყენებული. შინამეურნეობათა 16.5% ფლობს ვენახებს / ხეხილის ბაღებს; მოწეული ყურძენი/ხილი, ჩვეულებრივ, გამოიყენება საკუთარი მოხმარებისთვის, ხოლო ჭარბი რაოდენობა იყიდება. ასეთი ნაკვეთების საშუალო ფართობია 0.25 ჰა. ოჯახების უმრავლესობა (68%) ფლობს ნაკვეთებს, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად; ამ ნაკვეთების საშუალო ფართობი 0.4 ჰექტარია. ოჯახების დაახლოებით 5% ფლობს ნაკვეთებს, რომლებსაც იყენებს სათიბად ან საძოვრად; ნაკვეთების ფართობი მიახლოებით 0.3 ჰექტარია (იხ. სურათი 8-19 და ცხრილი 8-3).



სურათი 8-19: მიწის საკუთრება

ცხრილი 8-3: მიწის საკუთრება, მიწათსარგებლობის ტიპები და საშუალო ნაკვეთის ფართობი

მიწის / სარგებლობის ტიპი	საკუთრება	საშუალო ფართობი (მ²)
საკარმიდამო ნაკვეთი (სახლი და ეზო / ბაღი)	100.0%	385
საკუთრებაში მაქვს, თუმცა ვერ ვიყენებ	21.6%	34126
სახნავი მიწა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის	68.0%	4071
ვენახი, ხეხილის ბაღი, ბოსტანი	16.5%	2449
მინდვრები / სათიბები	5.0%	2823

შინამეურნეობათა დაახლოებით 40%-ს ჰყავს შინაური ფრინველები და საქონელი; საშუალოდ, ერთი ოჯახი ფლობს 12 შინაურ ფრინველსა და ორ ძროხას. ადგილობრივ ეკონომიკაში მნიშვნელოვანი წილი შეაქვს ვენახებს, ხეხილის ბაღებსა და ბოსტნებს. როგორც ჩანს, მეფუტკრეობა განვითარებული არაა.

ზემოთ აღწერილ მილსადენის აღმოსავლეთის მონაკვეთთან შედარებით, ადგილობრივი მოსახლეობა მეტადაა დამოკიდებული მიწასა და სოფლის მეურნეობაზე: აქ დასაქმებისა და ბიზნესის წარმოების ნაკლები შესაძლებლობაა და საარსებო წყაროები უმთავრესად მიწასთანაა დაკავშირებული.

8.6.3 მიწათსარგებლობისა და მიწის საკუთრების სენსიტიური საკითხები

საკვანძო სენსიტიური საკითხებია:

- საარსებო საშუალებები დამოკიდებულია კერძო ნაკვეთების დამუშავებაზე PAC-ების ბევრი მაცხოვრებლისთვის, რომლებიც, სხვადასხვა ხარისხით ჩართული არიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში.

- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებულ საკვებ პროდუქტებზე დამოკიდებულება, როგორც პირადი მოხმარებისთვის, ისე ჭარბი რაოდენობის გასაყიდად.

სენსიტიური საკითხები უფრო მეტად დაბალიდან საშუალომდე დიაპაზონისაა და არა მაღალი, ვინაიდან, ESIA-ს დამატებაში განხილულ ორივე საპროექტო ტერიტორიაზე წნეხი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე დაბალია. სანაცვლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ხელმისაწვდომია, თუმცა მოსახლეობის სანაცვლო მიწით უზრუნველყოფა შეიძლება უფრო ძვირი დაჯდეს მარნეულის ტერიტორიაზე (ESIA-ს დამატებაში განხილული აღმოსავლეთის მონაკვეთი). აღსანიშნავია, რომ განსხვავებები ღირებულებაში ასახულია მიწის საკომპენსაციო ტარიფებში.

8.7 ეკონომიკა, დასაქმება, საარსებო საშუალებები და უნარ-ჩვევები

ანგარიშის ამ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია PAC-ებში დასაქმებისა და საარსებო საშუალებების, უნარ-ჩვევების, შემოსავლებისა და დანახარჯების საკითხებზე. განხილულია სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები და მათი ფარდობითი წვლილი PAC-ების სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაში.

8.7.1 შემოთავაზებული პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3)

8.7.1.1 დასაქმება და საარსებო საშუალებები

მოსახლეობის დაახლოებით 9% პენსიონერია. ეს პროცენტული მაჩვენებელი გაცილებით დაბალია, ვიდრე მთის PAC-ებში. იგი აგრეთვე უფრო დაბალია, ვიდრე საშუალო ეროვნული მაჩვენებელი (19%). სავარაუდოდ, ყოველივე ეს ასახავს ამ PAC-ების და კერძოდ, ურბანული PAC-ების დემოგრაფიულ პროფილს. რესპონდენტების დაახლოებით 30% თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს. ეს ციფრი გაცილებით მაღალია, ვიდრე ოფიციალური მაჩვენებელი, მაგრამ, შეესაბამება მსგავსი კვლევების შედეგებს. მთის PAC-ებთან შედარებით, მცირე რაოდენობით ადამიანია ჩართული სასოფლო-სამეუნეო საქმიანობაში (იხ. 'გამყიდველი - სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია' და 'სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა' სურათი 8-20-ზე). თუმცა, სავსებით შესაძლებელია, რომ ზოგიერთი დაქირავებული მუშაკი და უმუშევარი დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სექტორში. და ბოლოს, რესპონდენტების 5% აცხადებს, რომ თვითდასაქმებულია.



სურათი 8-20: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - დასაქმების სტატუსი და სექტორი

ხელფასზე მომუშავე დასაქმებულთაგან კერძო სექტორში მნიშვნელოვნად უფრო მეტი ადამიანი მუშაობს (დაახლოებით 75%), ვიდრე სახელმწიფო სექტორში (დაახლოებით 25%. ამ კატეგორიაში ძირითადად განათლების, თავდაცვისა და ჯანდაცვის სექტორებში დასაქმებული ადამიანები არიან). სავსებით შესაძლებელია, რომ მომსახურების სექტორში მომუშავე ზოგიერთი რესპონდენტი სახელმწიფოს მიერაა დასაქმებული, მაგრამ, სავარაუდოდ, ასეთი რესპონდენტები მცირე რაოდენობით არიან. კერძო სექტორში მომსახურების სფერო ყველაზე მნიშვნელოვანი დამსაქმებელია (დაახლოებით 24%), შემდეგ მოდის მრეწველობა (18%-ზე ოდნავ მეტი) და მშენებლობის სექტორი (დაახლოებით 10%).

მთის PAC-ებისგან განსხვავებით, მოსახლეობის უმნიშვნელო რაოდენობა იყენებს ტყის რესურსებს (იხ. სურათი 8-21). შინამეურნეობების მხოლოდ 6.7% აგროვებს შეშას. მხოლოდ 0.2% ამზადებს თივას.



სურათი 8-21: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - ტყის რესურსებით სარგებლობა

მაცხოვრებლების უმრავლესობა (70%-ზე ოდნავ მეტი), რომლებიც უმუშევრებად მიიჩნევს თავს, აქტიურად ეძებს სამსახურს. დაახლოებით 30% არ არის დაინტერესებული ვაკანსიების შესახებ არსებული ინფორმაციით. სამუშაო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენენ მეგობრები ან ნათესავები. მოსახლეობის დაახლოებით 20% იყენებს ინტერნეტს. მოსახლეობა იყენებს ტელევიზიას, რადიოსა და ბეჭდვით მედიას (გაზეთებს, ა.შ.), მაგრამ ნაკლები დოზით (იხ. სურათი 8-22).



სურათი 8-22: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მთავარი წყაროები

სამსახურის მაძიებლებისთვის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ვაკანსიების სიმცირე და დასაქმების საკვანძო სისტემების ხელმისაწვდომობა, ვაკანსიების შესახებ

ინფორმაციის ადრეულ ეტაპზე მისაღებად. სამუშაოს მოძიების ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის ასაკი და გამოცდილებისა და კვალიფიკაციის ნაკლებობა აგრეთვე ბარიერებადაა აღქმული, მაგრამ შედარებით ნაკლები ხარისხით (იხ. სურათი 8-23).



სურათი 8-23: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები

8.7.1.2 უნარ-ჩვევები

რუსთავსა და ისეთ ქალაქებში, როგორიცაა გარდაბანი, ბევრი ადამიანი ცხოვრობს, რომლებსაც დასაქმების ხელშემწყობი ფართო სპექტრის უნარ-ჩვევები გააჩნიათ მშენებლობაში, ელექტრომოწყობილობებში, სარესტორნო ბიზნესში, ადმინისტრაციულ / სამდივნო საქმიანობასა და ბუღალტერიაში. გარდა ამისა, პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე ადამიანების გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დონე უფრო მაღალი და მრავალფეროვანია ბარისა და მთის სხვა PAC-ების მაცხოვრებლებთან შედარებით.

8.7.1.3 შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს კერძო და სახელმწიფო სექტორებში დასაქმებულთა ხელფასი (რესპონდენტთა დაახლოებით 62%). თუმცა, პენსიები და სხვა სახის სოციალური დახმარებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმ ოჯახებისთვისაც კი, რომელთა წევრი ხელფასს იღებს. შემოსავლის სხვა წყაროებია სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვა, დროებითი შემოსავალი არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან და ვაჭრობა, თუმცა მთლიანობაში მათი როლი შედარებით მცირეა. მიუხედავად ამისა, ეს წყაროები შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ზოგიერთ შინამეურნეობასა და მცირე დასახლებაში (იხ. სურათი 8-24).



სურათი 8-24: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შინამეურნეობების შემოსავლის ძირითადი წყაროები

ვინაიდან შინამეურნეობების უმრავლესობისთვის შემოსავლის მთავარი წყარო ხელფასი ან სოციალური დახმარებაა, შემოსავალი სტაბილურია და სეზონურ ცვლილებებს არ განიცდის. მიუხედავად ამისა, რესპონდენტების დაახლოებით 16% აღნიშნავს, რომ ზაფხულსა და შემოდგომაზე შემოსავალი იზრდება. სავარაუდოდ, ეს რესპონდენტები ჩართული არიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში (იხ. სურათი 8-25).



სურათი 8-25: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შემოსავლების სეზონურობა

შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი დაახლოებით 400 ლარია. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე მთის PAC-ებში. აღნიშნული მაჩვენებელი ასახავს ურბანული ეკონომიკის მრავალფეროვნებას, რომლის მეშვეობით დასახლებების ბევრ მაცხოვრებელს საშუალება აქვს მოიპოვოს საარსებო წყარო. რესპონდენტების უმრავლესობა (დაახლოებით 59%) მიიჩნევს, რომ მათი შემოსავალი შემცირდა ბოლო 5 წლის განმავლობაში. 30%-მა აღნიშნა, რომ შემოსავალი არ შეცვლილა და მხოლოდ 12%-მა განაცხადა, რომ ამ პერიოდში შემოსავალი გაიზარდა (იხ. სურათი 8-26).



სურათი 8-26: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შემოსავლის ცვლილება ბოლო 5 წლის განმავლობაში

შინამეურნეობების შემოსავლის დაახლოებით 64% ყოველთვიურად იხარჯება საკვებსა და სასმელზე. შემდეგ ადგილზეა კომუნალური გადასახადები და საწვავი (14%) და სამედიცინო ხარჯები (8%) (იხ. სურათი 8-27).



სურათი 8-27: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შინამეურნეობების ყოველთვიური ხარჯები

შინამეურნეობების თითქმის ნახევარი (47.2%) აცხადებს, რომ მათ არა აქვთ საკმარისი ფული საკვებისა და სასმელის შესაძენად და იღებენ სესხს ან დროებით დახმარებას ნათესავებისგან. რესპონდენტების დაახლოებით 33%-ს აქვს საკმარისი ფული საკვების შესაძენად, მაგრამ უჭირთ ტანსაცმლის შეძენა. ხანგრძლივი მოხმარების ძვირი საყოფაცხოვრებო ნივთები (როგორიცაა ტელევიზორი ან მაცივარი) არ არის ხელმისაწვდომი შინამეურნეობების უმრავლესობისთვის. 19% ამბობს, რომ შეუძლია საკვებისა და ტანსაცმლის ყიდვა, მაგრამ ვერ ყიდულობს ხანგრძლივი მოხმარების ძვირ საყოფაცხოვრებო ნივთებს (იხ. ცხრილი 8-4).

ცხრილი 8-4: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შინამეურნეობების ფინანსური მდგომარეობა

ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი აღწერს თქვენი ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას?	
არ გვაქვს საკმარისი ფული საკვების შესაძენად. ვსესხულობთ ფულს ან დახმარებას ვიღებთ ნათესავებისგან/მეგობრებისგან	47.2%
გვაქვს საკამრისი ფული საკვების შესაძენად, მაგრამ გვიჭირს ტანსაცმლის შეძენა	32.8%
გვაქვს საკმარისი ფული საკვებისთვის და ტანსაცმლისთვის, მაგრამ არ გვაქვს საშუალება ვიყიდოთ ხანგრძლივი მოხმარების ძვირი ნივთები, როგორიცაა ტელევიზორი ან მაცივარი	19.0%
პერიოდულად გვაქვს საშუალება შევიძინოთ ხანგრძლივი მოხმარების ნივთები, მაგრამ არ გვაქვს საკმარისი თანხა ავტომობილის, სახლის შესაძენად ან საზღვარგარეთ სამოგზაუროდ	0.6%
უარი პასუხზე	0.4%

ყოველ 10 შინამეურნეობაში 1 შინამეურნეობა დროულად ვერ იხდის კომუნალურ გადასახადებს, თუმცა, ჩვეულებრივ, დიდი ხნით არ ხდება გადახდის გადავადება (იხ. სურათი 8-28).



სურათი 8-28: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შინამეურნეობების მიერ გადასახადების გადახდის ვადები

შინამეურნეობების მესამედს (31%) აღებული აქვს სესხი საშუალოდ 3600 ლარის ოდენობით. მთის PAC-ებთან შედარებით, მსესხებელთა რაოდენობა და სესხის საშუალო თანხა საგრძნობლად მაღალია. სესხი ძირითადად ხმარდება ოჯახის საჭიროების დაკმაყოფილებას: ტექნიკის შეძენას, სახლის შეკეთებას, კომუნალურ გადასახადებსა და სხვა სახის მომსახურებას (მაგ., განათლება), აგრეთვე, მანქანის შეძენას. თუმცა, სესხების 16%-ზე ოდნავ მეტი გამიზნულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების ან გაფართოებისკენ (იხ. ცხრილი 8-5).

ცხრილი 8-5: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - მონაცემები სესხების შესახებ

სესხი	მონაცემი
მიმდინარე სესხის მქონე შინამეურნეობები	31%
სესხის საშუალო თანხა	3600 ლარი
სამომხმარებლო სესხი - საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ავეჯი, კომუნალური მომსახურება, რემონტი	51.8%
ბიზნეს სესხი - სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა: მანქანის / მუშა ხელის ქირაობა / სარწყავ სისტემაზე მიერთება / სათბურის გაფართოება / პესტიციდების, პირუტყვის შეძენა	16.4%
სამედიცინო მომსახურება	9.5%
ავტო სესხი	8.2%
სესხი განათლების მისაღებად	3.8%
იპოთეკური სესხი	3.1%
არ ვიცი	7.1%

რესპონდენტთა დიდი რაოდენობა (88%) უკმაყოფილოა შემოსავლისა და დასაქმების დონით, ჯანდაცვაც ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა. ეს პრობლემები გარკვეულწილად მთის PAC-ების პრობლემებსაც გამოხატავს შემოსავლებისა და ჯანდაცვის თვალსაზრისით, თუმცა ნაკლები დონის პრობლემადაა მიჩნეული კომუნალური მომსახურება და გზები (იხ. სურათი 8-29).



სურათი 8-29: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შინამეურნეობების ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა

8.7.2 შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი (PRMS კმ ნიშნულები 0-2.5)

8.7.2.1 დასაქმება/საარსებო საშუალებები

დასახლებების მაცხოვრებელთა 28%-ზე ოდნავ მეტმა განაცხადა, რომ პენსიონერი იყო, რაც ასახავს ამ PAC-ების დემოგრაფიულ პროფილს. ეს რაოდენობა საგრძნობლად აღემატება ეროვნულ მაჩვენებელს. რესპონდენტების თითქმის 24% დაუსაქმებელია. დაახლოებით 10% მიჩნევს საკუთარ თავს დაქირავებულად და მიახლოებით 5%-ს აქვს საკუთარი ბიზნესი. დასაქმების სექტორების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობა ლიდერობს (თითქმის 40% - სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვა და ფერმერული საქმიანობა). ხელფასზე მომუშავეთა უფრო მეტი რაოდენობა (დაახლოებით 46%) დასაქმებულია კერძო სექტორში, ვიდრე საჯარო სექტორში (დაახლოებით 27%) (იხ. სურათი 8-30).



სურათი 8-30: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - დასაქმების სტატუსი და სექტორი

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შინამეურნეობის საარსებო წყარო დამოკიდებულია სოფლის მეურნეობაზე, პენსიებზე, სოციალურ დახმარებასა და ანაზღაურებად სამსახურზე, ბუნებრივი რესურსების, კერძოდ, მიმდებარე ტყის რესურსების გამოყენება მნიშვნელოვან როლს თამაშობს შინამეურნეობების დიდი ნაწილისთვის (50%). ასეთი შინამეურნეობების 50%-ზე ოდნავ ნაკლები იყენებს ტყის რესურსებს შეშის მოსაპოვებლად. ოჯახების ცოტა რაოდენობა იყენებს ტყის რესურსებს თივის დასამზადებლად (1.1%) ან სამშენებლო მერქნის მოსაპოვებლად (0.2%) (იხ. სურათი 8-31).



სურათი 8-31: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - ტყის რესურსებით სარგებლობა

უმუშევართა უმრავლესობა სამსახურს ეძებს. ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის ყველაზე გავრცელებული წყაროა მეგობრები და ნათესავები. სახელმწიფო დასაქმების სამსახურს და მედიას ხშირად არ მიმართავენ. რესპონდენტების ნახევარზე ოდნავ ნაკლებმა (48%) განაცხადა, რომ ისინი არ არიან დაინტერესებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციით (იხ. სურათი 8-32).



სურათი 8-32: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მთავარი წყაროები

სამუშაოს მაძიებლებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემებია ვაკანსიების ნაკლებობა და დროული ინფორმაციის მიღება ვაკანსიების შესახებ დამსაქმებელთა საკვანძო ქსელების ხელმიუწვდომლობის გამო. რესპონდენტების 11%-ზე ოდნავ მეტს ასეთ პრობლემად მიაჩნია ასაკი, ხოლო 7.8%-მა - ენობრივი ბარიერი ანუ „უცხო“ (კერძოდ, ქართული) ენის არცოდნა. ხელისშემშლელ ფაქტორებად აგრეთვე დასახელდა ასაკი და სამუშაო გამოცდილების/კვალიფიკაციის ნაკლებობა, თუმცა ნაკლები ხარისხით. თითქმის 20%-მა ვერ შეძლო დაესახელებინა სამუშაოს ძებნასთან დაკავშირებული უმთავრესი პრობლემები (იხ. სურათი 8-33).



სურათი 8-33: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - სამსახურის შოვნასთან დაკავშირებული პრობლემები

8.7.2.2 უნარ-ჩვევები

აღნიშნულ PAC-ებში მაცხოვრებელთა უმთავრესი უნარ-ჩვევაა მანქანის მართვა. უმეტესობას შეუძლია მსუბუქი, მცირე სატვირთო მანქანებისა და სამგზავრო სატრანსპორტო საშუალების (როგორიცაა მიკროავტობუსები) მართვა. ზოგიერთმა მძიმე სატვირთო მანქანის მართვაც იცის. გაცილებით ნაკლებ რაოდენობას შეუძლია მართოს მიწის სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკა.

დასაქმების თვალსაზრისით შემდეგი მთავარი უნარ-ჩვევაა სამშენებლო საქმე. პატარა სოფლებში სხვადასხვა რაოდენობის ადამიანს (ზოგიერთ შემთხვევაში ძალიან ცოტას) გააჩნია სპეციალური კვალიფიკაცია ისეთ სფეროებში, როგორიცაა ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები, სადურგლო საქმე და სანტექნიკა. პირები, ვისაც გააჩნიათ საოფისე საქმიანობის (ადმინისტრაცია, ბუღალტერია) გამოცდილება, ბევრნი არიან ქალაქებში (ვალე და უდე), მაგრამ არა სოფლებში.

8.7.2.3 შემოსავლები და ხარჯები

შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავალი დაახლოებით 190 ლარია. რესპონდენტების დაახლოებით 60% აცხადებს, რომ ბოლო 5 წლის მანძილზე, მათი შემოსავალი შემცირდა. დაახლოებით 25%-მა აღნიშნა, რომ შემოსავალი არ შეცვლილა, ხოლო 15% ამბობს, რომ ამ პერიოდში შემოსავალი გაიზარდა (იხ. სურათი 8-34).



სურათი 8-34: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - შემოსავლის ცვლილებები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში

შემოსავლის ძირითადი წყაროებია პენსიები და სხვა სოციალური დახმარებები (რესპონდენტთა 75%). ფულადი გზავნილების წილი დაბალია. კერძო და სახელმწიფო სექტორებში მომუშავეთა რეგულარული ხელფასები მეორე ძირითადი წყაროა შინამეურნეობის შემოსავალში (ოჯახების დაახლოებით 20%). უფრო მცირე წვლილი შეაქვს დროებით შემოსავალსა და წვრილ ვაჭრობას (იხ. სურათი 8-35).



სურათი 8-35: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - შინამეურნეობათა შემოსავლების ძირითადი წყაროები

სოფლის მეურნეობის სექტორის შემოსავალი სეზონურად იცვლება. შინამეურნეობების დაახლოებით 5% აღნიშნავს, რომ ზაფხულში მათი შემოსავალი იზრდება, 11.5% კი ამბობს, რომ შემოსავალი შემოდგომაზე იზრდება (იხ. სურათი 8-36).



სურათი 8-36: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - შემოსავლების სეზონურობა

შინამეურნეობების ყოველთვიური შემოსავლების დაახლოებით 71% იხარჯება საკვებსა და სასმელზე. შემდეგ მოდის სამედიცინო ხარჯები (11%), კომუნალური გადასახადები და საწვავი (10%) და ტრანსპორტი (4%) (იხ. სურათი 8-37).



სურათი 8-37: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - შინამეურნეობების ყოველთვიური ხარჯები

შინამეურნეობების უმრავლესობა (76%) აცხადებს, რომ არ აქვს საკმარისი ფული საკვებისა და სასმელის შესაძენად და ამიტომ, სესხულობს თანხას ან დროებით დახმარებას იღებენ ნათესავებისგან. დაახლოებით 20% აცხადებს, რომ საკმარისი ფული აქვს საკვებისთვის, მაგრამ ტანსაცმელს ვერ ყიდულობს. ხანგრძლივი მოხმარების ნივთების შეძენა ხელმიუწვდომელია თითქმის ყველა შინამეურნეობისთვის. შინამეურნეობების მხოლოდ დაახლოებით 3.5% ახერხებს საკვებისა და ტანსაცმლის ყიდვას, მაგრამ, ვერ ყიდულობს ხანგრძლივი მოხმარების ნივთებს, როგორიცაა ტელევიზორი და მაცივარი (იხ. ცხრილი 8-6).

ცხრილი 8-6: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - ფინანსური მდგომარეობა

ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი აღწერს თქვენი ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას?	მონაცემი
არ გვაქვს საკმარისი ფული საკვების შესაძენად. ვსესხულობთ ფულს ან დახმარებას ვიღებთ ნათესავებისგან/მეგობრებისგან	76.1%
გვაქვს საკამრისი ფული საკვების შესაძენად, მაგრამ გვიჭირს ტანსაცმლის შეძენა	19.7%
გვაქვს საკმარისი ფული საკვებისთვის და ტანსაცმლისთვის, მაგრამ არ გვაქვს საშუალება ვიყიდოთ ხანგრძლივი მოხმარების ძვირი ნივთები, როგორიცაა ტელევიზორი ან მაცივარი.	3.4%
უარი პასუხზე	0%

რესპონდენტთა უმრავლესობა (დაახლოებით 92%) დროულად იხდის კომუნალურ გადასახადებს. რესპონდენტთა 7.4% აღიარებს, რომ ზოგჯერ გადახდას ცოტათი აგვიანებს. მხოლოდ 0.2% არ იხდის გადასახადებს (იხ. სურათი 8-38).



სურათი 8-38: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - კომუნალური მომსახურების გადახდის ვადები

შინამეურნეობების დაახლოებით 20%-ს სესხი აქვს აღებული, საშუალოდ 2000 ლარის ოდენობით. კრედიტი ძირითადად იხარჯება სახლისთვის გარკვეული ნივთების შეძენაზე, სახლის შეკეთებასა და გადასახადებზე (40%), სამედიცინო მომსახურებაზე (27%), სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაფართოებასა და გაუმჯობესებაზე (სესხების დაახლოებით 17%). სესხის 6% იხარჯება განათლების საფასურის დაფარვაზე და შედარებით ნაკლები თანხა ხმარდება გირაოს ან ავტომანქანის ყიდვას (იხ. ცხრილი 8-7).

ცხრილი 8-7: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - მონაცემები სესხების შესახებ

სესხი	მონაცემი
მიმდინარე სესხის მქონე შინამეურნეობები	20.8%
სესხის საშუალო თანხა	2001 ლარი
სამომხმარებლო სესხი - საყოფაცხოვრებო ტექნიკა / ავეჯი / კომუნალური მომსახურება / რემონტი	39.9%
სამედიციცო მომსახურება	26.9%
ბიზნეს სესხი - სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა: მანქანის / მუშა ხელის ქირაობა / სარწყავ სისტემაზე მიერთება / სათბურის გაფართოება / პესტიციდების / პირუტყვის შეძენა	16.7%
სესხი განათლების მისაღებად	6.2%
იპოთეკური სესხი	2.3%
ავტო სესხი	0.8%
უარი პასუხზე / არ ვიცი	7.2%

რესპონდენტების დიდი ნაწილი (88%) უკმაყოფილოა შემოსავლების დონით. სხვა საკვანძო პრობლემები უკავშირდება ბუნებრივი აირის არარსებობასა და ჯანდაცვის არაადეკვატურობას / სიძვირეს. შემდეგ მოდის უმუშევრობა, საცხოვრებელი პირობები, გადასახადები და სატრანსპორტო ქსელი (იხ. სურათი 8-39).



სურათი 8-39: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - შინამეურნეობათა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები

8.7.3 დასაქმებასთან, საარსებო საშუალებებსა და უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული სენსიტიური საკითხები

8.7.3.1 გარის PAC-ები

ძირითადი სენსიტიური საკითხებია:

- შემოსავლის სეზონურობა მცირე ზომის სოფლებში
- ეკონომიკური კრიზისის გავლენა მცირე ზომის სოფლებზე, რადგან მცხოვრებთა შემოსავლები და ხარჯები თითქმის თანაბარია და ჭარბი თანხა დანაზოგის სახით თითქმის არ რჩება
- სათანადო სამუშაო უნარ-ჩვევების ნაკლებობა მცირე ზომის სოფლებში შემოთავაზებული პარალელური მილსადენის (კმ ნიშნულები 0-62.3) მშენებლობის საჭიროებებთან მიმართებაში
- მოსახლეობის აზრით, უმუშევრობის მაღალი დონე ყველა PAC-ში
- დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სოფლებში. ინფორმაცია ძირითადად სიტყვიერად ვრცელდება და არა მედიის (რადიო, გაზეთები, ა.შ.) საშუალებით. პირად კონტაქტებზე დამოკიდებულება უფრო მეტია, ვიდრე ოფიციალურ საკომუნიკაციო ქსელზე.

8.7.3.2 მთის PAC-ები შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის (PRMS კმ0-2.5) გასწვრივ

საკვანძო სენსიტიური საკითხებია:

- სიღარიბე
- შემოსავლის სეზონურობა (11%-ს მეტი შემოსავალი აქვს შემოდგომაზე)
- ეკონომიკური კრიზისის გავლენა, რადგან მცხოვრებთა შემოსავლები და ხარჯები თითქმის თანაბარია და ჭარბი თანხა დანაზოგის სახით თითქმის არ რჩება
- სათანადო სამუშაო უნარ-ჩვევების ნაკლებობა შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის (PRMS კმ ნიშნულები 0-2.5) მშენებლობის საჭიროებებთან მიმართებაში
- მოსახლეობის აზრით, უმუშევრობის მაღალი დონე
- დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ინფორმაცია ძირითადად სიტყვიერად ვრცელდება და არა მედიის (რადიო, გაზეთები, ა.შ.) საშუალებით. პირად კონტაქტებზე დამოკიდებულება უფრო მეტია, ვიდრე ოფიციალურ საკომუნიკაციო ქსელზე
- სამუშაო ადგილების ხელმისაწვდომობა და შესაძლო 'ლინგვისტური' ბარიერები
- მიმდებარე ტყიანი ზონების ადვილი და უსაფრთხო მუდმივი ხელმისაწვდომობა.

8.8 ინფრასტრუქტურა და მომსახურება

ანგარიშის ეს თავი აღწერს ძირითადი ინფრასტრუქტურული სერვისებისა და მომსახურების მდგომარეობას. ესენია: ენერგეტიკა, ტრანსპორტი, წყალმომარაგება და განათლება (ჯანდაცვის სფერო ცალკეა განხილული თავში 8.5). PAC-ების დონეზე ინფორმაცია წარმოდგენილია ისეთ ორგანიზაციებთან მიმართებაში, როგორიცაა ბანკები, ეკლესიები/მეჩეთები და სარეკრეაციო / გასართობი ადგილები.

ამ თავში განხილული საკვანძო ფიზიკური და სოციალური ინფრასტრუქტურა შემდეგია:

- ენერგეტიკა
- წყალმომარაგება
- განათლება
- ტრანსპორტი.

8.8.1 ენერგეტიკა

8.8.1.1 შემოთავაზებული პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3)

ყველა PAC-ს მიეწოდება ელექტროენერგია და დაახლოებით 86% უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით. ბევრ მცირე ზომის სოფელში ეს მომსახურება ხელმისაწვდომი გახდა ბოლო 5 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ხელმისაწვდომია თხევადი (ბალონის) გაზი. ბუნებრივი აირის მიწოდების ხარისხი ოდნავ უკეთესია, ვიდრე ელექტროენერგიით მომარაგებისა, თუმცა რესპონდენტების მცირე რაოდენობამ შეაფასა ელექტრომომარაგების ხარისხი როგორც 'ცუდი' (იხ. სურათი 8-40).



სურათი 8-40: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - ენერგორესურსების ხელმისაწვდომობა და მომარაგების ხარისხი

საჭმლის მოსამზადებლად ძირითადად ელექტროენერგიას იყენებენ (95%). შინამეურნეობების მხოლოდ 7.7% და 3.9% მოიხმარს შესაბამისად შეშას და გაზს ამ მიზნით. ელექტროენერგია გამოიყენება გასათბობადაც, მაგრამ, შედარებით ნაკლები დოზით (ოჯახების 63%). შეშისა (ოჯახების დაახლოებით 31%) და გაზის (ოჯახების მიახლოებით 11%) წილი უფრო მეტია. ბიო-საწვავი (ძირითადად საქონლის ნაკელი) გამოიყენება საჭმლის მოსამზადებლად და გასათბობად, მაგრამ ძალიან ცოტა შინამეურნეობა (ორივე მიზნით - 1%-ზე ნაკლები) იყენებს ამ საწვავს (იხ. სურათი 8-41).



სურათი 8-41: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - ენერგორესურსების გამოყენება საჭმლის მოსამზადებლად და გასათბობად

8.8.1.2 შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი (PRMS კმ ნიშნულები 0-2.5)

ყველა PAC უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით 5 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში. ბოლო 5 წლის განმავლობაში ელექტროენერგიის მიწოდება უზრუნველყოფილი იქნა 5 სოფელში. ბარის PAC-ებისაგან განსხვავებით, არცერთ სოფელში არ არის გაყვანილი ბუნებრივი აირი. ხელმისაწვდომია თხევადი (ბალონის) გაზი. რესპონდენტების 7% ამბობს, რომ ელექტროენერგიის მომარაგების სისტემა 'შესანიშნავია', დანარჩენები აცხადებენ, რომ იგი 'კარგია' (იხ. სურათი 8-42).



სურათი 8-42: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - ენერგორესურსების ხელმისაწვდომობა და მომარაგების ხარისხი



სურათი 8-43: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - ენერგორესურსების გამოყენება საჭმლის მოსამზადებლად და გასათბობად

ელექტროენერგიას ძირითადად საჭმლის მოსამზადებლად იყენებენ (81.3%). რესპონდენტები აცხადებენ, რომ საჭმლის დასამზადებლად ისინი აგრეთვე იყენებენ შეშას (62.4%) და აირის ბალონებს (11.2%). გათბობის მიზნით ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად იყენებს მხოლოდ შეშას (98.3%) ან შეშის პროდუქტს (ნახერხი [0.9%] ან ნახშირი [0.2%]) (იხ. სურათი 8-43). ბარის PAC-ებთან შედარებით, მთის PAC-ები მნიშვნელოვნად მეტად არიან დამოკიდებული შეშაზე, როგორც საწვავზე.

8.8.2 წყალმომარაგება

8.8.2.1 შემოთავაზებული პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3)

შინამეურნეობების დაახლოებით 71%-ს სახლში აქვს სასმელი წყალი. გარდა ამისა, 11%-ს სასმელი წყალი აქვს ეზოში ან ბაღში. დანარჩენები იყენებენ საკუთარ ჭას, წყლის რეზერვუარებს ან ბოთლის წყალს.

სურათი 8-44 და სურათ 8-45 გვიჩვენებს წყალმომარაგების მოცულობასა და ხარისხს. ზოგადად, რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ არსებული წყალმომარაგება საკმარისი არაა. 49%-ზე ოდნავ მეტი თვლის, რომ იგი დროდადრო არაა საკმარისი, ხოლო დაახლოებით 15%-ს მიაჩნია, რომ იგი არასდროს არაა საკმარისი. რაც შეეხება ხარისხს, ბევრი რესპონდენტი (36%-ზე ოდნავ მეტი) თვლის, რომ წყალმომარაგების ხარისხი 'ცუდია'. თითქმის 34%-ის აზრით, იგი დამაკმაყოფილებელია. უფრო მეტ რესპონდენტს მიაჩნია, რომ ხარისხი 'ძალიან ცუდია', იმ რაოდენობასთან შედარებით, რომელიც თვლის, რომ ხარისხი 'შესანიშნავია' (შესაბამისად 16.3% და 0.6%).

შინამეურნეობების დაახლოებით 77% მიერთებულია ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე. რაც შეეხება დანარჩენებს, თხევადი ნარჩენები განიტვირთება პირდაპირ

თხრილში ან ღია სადრენაჟო არხებში (60.2%) ან ბაღებსა და ეზოებში (დაახლოებით 39.8%) (იხ. სურათი 8-46).



სურათი 8-44: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - წყალმომარაგების პერიოდულობა და ხარისხი



სურათ 8-45: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ხარისხის შეფასება



სურათი 8-46: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - ცენტრალური საკანალიზაციო სისტემით სარგებლობა

შინამეურნეობების მხოლოდ 11%-სთვის არის ხელმისაწვდომი სარწყავი სისტემა. მათგან უმრავლესობა (9%) იყენებს ამ სისტემას (იხ. სურათი 8-47).



სურათი 8-47: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - სარწყავი სისტემის ხელმისაწვდომობა/გამოყენება

8.8.2.2 შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი (PRMS კმ ნიშნულები 0-2.5)

ცხრა PAC-დან მხოლოდ ერთს არა აქვს სასმელი წყლით მომარაგების სისტემა. შინამეურნეობების დაახლოებით 27%-ს მიუწვდება ხელი სასმელ წყალზე საკუთარ სახლებში. შინამეურნეობების მიახლოებით 62%-ს სამელი წყალი აქვს ეზოში ან ბაღში. სხვა ოჯახები კი მეზობლების სასმელ წყალს იყენებენ. დანარჩენ შინამეურნეობებს საკუთარი ჭა აქვთ ან ახლომდებარე წყაროს წყალს მოიხმარენ (დაახლოებით 11%).

სურათი 8-48 და სურათი 8-49 გვიჩვენებს მოსახლეობის აზრს წყალმომარაგების მოცულობისა და ხარისხის შესახებ. ზოგადად, ითვლება, რომ წყალმომარაგება არაა საკმარისი. შინამეურნეობების მიახლოებით 40% აცხადებს, რომ წყლის მოცულობა პერიოდულად არ არის საკმარისი, ხოლო დაახლოებით 34% თვლის, რომ იგი არასდროსაა საკმარისი. ხარისხის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, ხარისხი 'კარგი' ან 'დამაკმაყოფილებელია', თუმცა დაახლოებით 16% აცხადებს, რომ წყლის ხარისხი 'ცუდი' ან 'ძალიან ცუდია' და მხოლოდ 5%-ზე ნაკლები მიიჩნევს, რომ იგი 'შესანიშნავია'.



სურათი 8-48: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - წყალმომარაგების პერიოდულობა და ხარისხი



სურათი 8-49: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ხარისხის შეფასება

შინამეურნეობათა დაახლოებით 24% დაერთებულია ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე, რაც გაცილებით ნაკლებია ბარის PAC-ებთან შედარებით. რაც შეეხება დანარჩენებს, თხევადი საყოფაცხოვრებო ნარჩენები განიტვირთება პირდაპირ თხრილში ან ღია სადრენაჟო არხში ან ეზოში / ბაღში (ოჯახების რაოდენობა თითქმის თანაბარია) (იხ. სურათი 8-50).



სურათი 8-50: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის გამოყენება

სარწყავი წყალი ხელმისაწვდომია შინამეურნეობების დაახლოებით 23%-თვის, თუმცა ოჯახების თითქმის 10% მას არ იყენებს (იხ. სურათი 8-50). ეს სურათი კარდინალურად განსხვავდება ბარის PAC-ებში არსებული ვითარებისაგან, სადაც მეტ შინამეურნეობას აქვს სარწყავი წყალი, თუმცა ასეთი ოჯახების მეტი ნაწილი არ იყენებს მას.



სურათი 8-51: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - სარწყავი წყლის სისტემის ხელმისაწვდომობა / გამოყენება

8.8.3 განათლება

8.8.3.1 შემოთავაზებული პარალელური მილსადენი (SCPX კმ ნიშნულები 0-62.3)

შინამეურნეობების მესამედზე ოდნავ მეტს (37.3%) ჰყავს სკოლის ასაკის შვილები, რომლებიც დაწყებით ან საშუალო სკოლაში სწავლობენ. ბავშვების 1% არ დადის სკოლაში ხელმიუწვდომლობის გამო. შინამეურნეობების დაახლოებით 18% ადგილობრივი სკოლების ხარისხს 'საუკეთესოდ' მიიჩნევს, დაახლოებით 38%-ზე ოდნავ მეტი ამბობს, რომ ხარისხი 'კარგია'. მხოლოდ 6.2% მიიჩნევს, რომ სკოლების ხარისხი 'ცუდია'. მნიშვნელოვნად მეტი რესპონდენტი (მიახლოებით 38%) მიიჩნევს, რომ სკოლების მდგომარეობა გაუმჯობესდა, ვიდრე გაუარესდა (დაახლოებით 3%). (იხ. სურათი 8-52, სურათი 8-53 და სურათი 8-54).



სურათი 8-52: შემოთავაზებული პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - სკოლაში სიარული



სურათი 8-53: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - სკოლების ხარისხის შეფასება (იმ ოჯახებისთვის, ვისაც ჰყავს სკოლის ასაკის ბავშვები)



სურათი 8-54: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - ცვლილება ადგილობრივი სკოლების ხარისხში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში

8.8.3.2 შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი (PRMS კმ ნიშნულები 0-2.5)

შინამეურნეობების დაახლოებით 29%-ს ჰყავს სკოლის ასაკის შვილები, რომლებიც დაწყებით ან საშუალო სკოლაში დადიან. ბავშვების მხოლოდ 0.3% არ დადის სკოლაში. რესპონდენტების 17% ამბობს, რომ ადგილობრივი სკოლების ხარისხი 'შესანიშნავია', ხოლო მიახლოებით 38% აცხადებს, რომ ხარისხი 'კარგია'. თუმცა რესპონდენტების 15% ამბობს, რომ სკოლების ხარისხი 'ცუდია'. რესპონდენტების უმრავლესობას უჭირს ბოლო 5 წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების შეფასება ადგილობრივი სკოლების ხარისხის თვალსაზრისით. თუმცა მეტი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ სკოლების ხარისხი გაუმჯობესდა (დაახლოებით 25%), ვიდრე გაუარესდა (მიახლოებით 2%). (იხ. სურათი 8-55, სურათი 8-56 და სურათი 8-57). მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ბარის PAC-ებთან შედარებით, მთის PAC-ებში მეტი უკმაყოფილებაა განათლების ხარისხით.



სურათი 8-55: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - სკოლებში სიარული



სურათი 8-56: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - სკოლების ხარისხის შეფასება (იმ ოჯახებისთვის, ვისაც ჰყავს სკოლის ასაკის ბავშვები)



სურათი 8-57: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5ის განმავლობაში

8.8.4 მობილური კავშირის ქსელის დაფარვა

ყველა PAC-ში არის მობილური კავშირის ქსელის დაფარვა.

8.8.5 შეხედულებები ინფრასტრუქტურისა და მომსახურების შესახებ

ამ თავში საუბარია ტენდენციებსა და პრობლემებზე, რომლებიც უკავშირდება არსებულ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებას PAC-ებში.

8.8.5.1 შემოთავაზებული პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3)

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის / მომსახურების მდგომარეობის განხილვისას პრობლემებს შორის ყველაზე ხშირად იყო ნახსენები წყალმომარაგების სტატუსი და ხარისხი. შინამეურნეობების დაახლოებით 50% აცხადებს, რომ წყლის ხარისხი ცუდია და 30%-ზე მეტი ფიქრობს, რომ წყალმომარაგების მომსახურებაც ცუდია. დაახლოებით 20-25% მიიჩნევს, რომ ასევე არასახარბიელო მდგომარეობაშია გზები, სადრენაჟო სისტემა, კანალიზაცია, ნაგავსაყრელები და სარეკრეაციო და გასართობი ობიექტები (იხ. სურათი 8-58).



სურათი 8-58: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შეხედულებები ინფრასტრუქტურის, ობიექტებისა და მომსახურების მდგომარეობის შესახებ

გამოვლინდა აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, გაუარესდა თუ გაუმჯობესდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურა/ობიექტები /მომსახურება. აღსანიშნავია, რომ ნაკლები რაოდენობის ოჯახი თვლის, რომ წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების სფეროები გაუმჯობესდა, შინამეურნეობათა იმ რაოდენობასთან შედარებით, რომელსაც მიაჩნია, რომ გაუმჯობესება აღინიშნება სხვა ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში/კომუნალურ მომსახურებაში/ობიექტებში. დანაშაულთან/ პოლიციასა და სავაჭრო ობიექტებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზე ბევრი რესპონდენტი მკაფიოდ მიუთითებს. ბევრი რესპონდენტი აგრეთვე თვლის, რომ არაფერი შეცვლილა კომუნალური მომსახურების/ინფრასტრუქტურის/ობიექტების უდიდეს ნაწილში (იხ. სურათი 8-58 და სურათი 8-59).



სურათი 8-59: პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3) - შეხედულებები ინფრასტრუქტურის, ობიექტებისა და მომსახურების მდგომარეობის ცვლილების შესახებ

8.8.5.2 შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი (PRMS კმ ნიშნული 0-2.5)

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის, ობიექტებისა და მომსახურების მდგომარეობის განხილვისას, მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ადგილობრივი გზების პრობლემას ასახელებს. სხვა პრობლემებს ნაკლებად ასახელებენ, თუმცა, მათაც თანაბარი მნიშვნელობა აქვთ - წყალმომარაგება, საფოსტო და საფინანსო მომსახურება, გასართობი და რეკრეაციული ობიექტების ხელმისაწვდომობა (იხილეთ სურათი 8-60). ინფრასტრუქტურის, ობიექტებისა და მომსახურების მდგომარეობის შესახებ უფრო მეტი აზრთა სხვადასხვაობაა მთის PAC-ებში, ვიდრე ბარის PAC-ებში.

რესპონდენტების 20% მიიჩნევს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ადგილობრივი გზების მდგომარეობა გაუარესდა. დაახლოებით 35% კი ამბობს, რომ, პირიქით, გაუმჯობესდა. საერთოდ, ინფრასტრუქტურის, ობიექტებისა და მომსახურების უდიდეს ნაწილთან

დაკავშირებით უფრო მეტი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა გაუმჯობესებას და არა გაუარესებას. ეს აზრთა სხვადასხვაობა რესპონდენტთა საცხოვრებელ ადგილზეა დამოკიდებული. ბევრი რესპონდენტი ფიქრობს, რომ ინფრასტრუქტურაში, ობიექტებსა და მომსახურებაში ცვლილებები არ არის (იხ. სურათი 8-60 და სურათი 8-61).



სურათი 8-60: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - შეხედულებები ინფრასტრუქტურის, ობიექტებისა და მომსახურების მდგომარეობის შესახებ



სურათი 8-61: PRMS (კმ ნიშნულები 0-2.5) - შეხედულებები ინფრასტრუქტურის, ობიექტებისა და მომსახურების მდგომარეობის ცვლილების შესახებ

8.8.6 ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სენსიტიური საკითხები

8.8.6.1 შემოთავაზებული პარალელური მილსადენი (კმ ნიშნულები 0-62.3)

საკვანძო სენსიტიური საკითხებია:

- წყალმომარაგება და წყლის ხარისხი
- ჩამდინარე წყლების გაწმენდა
- ნარჩენების განთავსება.

8.8.6.2 შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი (PRMS კმ ნიშნულები 0-2.5)

საკვანძო სენსიტიური საკითხებია:

- ბუნებრივი აირის არარსებობა (მოსახლეობა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული შეშაზე საჭმლის მომზადებისა და, განსაკუთრებით, გათბობის თვალსაზრისით)
- წყალმომარაგება (დაახლოებით 10% დამოკიდებულია წყაროებსა და ჭებზე) და წყალმომარაგების გრაფიკი
- კომერციული მომსახურების (ფოსტა, ბანკი) ხელმიუწვდომლობა
- სათანადო გასართობი და რეკრეაციული ობიექტების დეფიციტი.

8.9 საგზაო მოძრაობა და ტრანსპორტი

ანგარიშის ამ ნაწილში აღწერილია საგზაო მოძრაობის საბაზისო პირობები შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის (კმ ნიშნულები 56.6-62.3) პარალელურ გზასა და ძირითად მისასვლელ გზაზე, რომელიც მიემართება საქართველო-თურქეთის საზღვრისაკენ, მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის სიახლოვეს. ამ მარშრუტების გამოყენება მოსალოდნელია SCPX პროექტის მშენებლობის პროცესში.

8.9.1 კამერალური ლიტერატურული კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია

ჩატარდა საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის შესახებ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის/სამხრეთ კავკასიური მილსადენის პროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის დამატებებსა და SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშში წარმოდგენილი საბაზისო ინფორმაციის ხელახალი განხილვა.

SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშისათვის ჩატარებული საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის კვლევის ერთ-ერთი პუნქტი იყო ახალციხე (იხ. სურათი 8-62), რომელიც მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, საქართველო-თურქეთის საზღვართან ახლოს, SCPX მილსადენის დამატებითი მონაკვეთის უშუალო სიახლოვეს (PRMS კმ ნიშნულები 0–2.5). ახალციხის მიდამოებში არსებული გზა გამოყენებული იქნება მილსადენის დამატებით დასავლეთის მონაკვეთამდე მისასვლელად მშენებლობის დროს, რადგანაც იგი ერთადერთი ძირითადი გზაა ამ რეგიონში. ზემოაღნიშნული კვლევის სრული დეტალები მოყვანილია SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის თავში 8.8, ხოლო რეზიუმე ქვემოთაა მოცემული.

- სატრანსპორტო ნაკადის დიდი ნაწილია (24.7%) მძიმე სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც გამოიყენება კარიერებიდან მასალის გადასატანად
- დღის საათებში ტრანსპორტის მოძრაობა დაბალანსებულია
- გამოკვლევის პერიოდში საცობი / საგზაო მოძრაობის გადატვირთვა არ დაფიქსირებულა
- გზა იყო კარგ და მძიმე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის გამოსადეგ მდგომარეობაში.

BTC/SCP ESIA-ის შედეგები გვიჩვენებს, რომ გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების დიდი ნაწილი ძველი საბჭოთა მანქანებია. კვლევებით აგრეთვე დაფიქსირებულია გზების გამოყენება დაბალი სიჩქარით მოძრავი ისეთი ობიექტებით, როგორიცაა ცხენები, ურმები და საქონელი.



სურათი 8-62: SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშისათვის ჩატარებული საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის კვლევის ლოკაციები ახლციხესთან ახლოს

8.9.2 არასაკმარისი მონაცემები და საველე კვლევის მეთოდები

8.9.2.1 არასაკმარისი მონაცემები

SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშისათვის ჩატარებული საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის ფონური კვლევა მოიცავს მილსადენის დამატებით დასავლეთის მონაკვეთამდე შემოთავაზებულ მისასვლელ გზებსა და ტრანსპორტის საბაზისო პირობებს. თუმცა ზემოაღნიშნული გამოკვლევა არ ფარავს შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის ტერიტორიას.

რეკომენდებული იყო საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის ახალი გამოკვლევის ჩატარება მიმდინარე საბაზისო პირობების შესასწავლად აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც განთავსდება შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთი. 2013 წლის 6 ნოემბერს ტრანსპორტის აღმრიცხავებმა/დამთვლელებმა დაკვირვებების წარმოება დაიწყეს ერთ საკვლევ პუნქტზე სატრანსპორტო ნაკადის ვარიაციების დასაფიქსირებლად. ჩაითვალა, რომ შერჩეული დაკვირვების პუნქტი ყველაზე კარგად ასახავდა იმ გზებს, რომლებიც გამოყენებული იქნება SCPX-ის სამშენებლო ტრანსპორტის მიერ მილსადენის გასხვისების დერეფანსა და ტექნიკური მომსახურების სადგურამდე მისასვლელად მშენებლობის პროცესში. გამოკვლევა ჩატარდა სამუშაო დღეს (რადგანაც SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშისათვის ჩატარებული საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის ფონური კვლევის მიხედვით, გზით მოსარგებლე სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა უფრო მაღალი იყო სამუშაო დღეებში, ვიდრე შაბათ-კვირას).

8.9.2.2 საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის კვლევის ლოკაციები

სურათი 8-63 გვიჩვენებს საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის კვლევის ადგილმდებარეობას, რომელიც შეირჩა შემოთავაზებული მილსადენის დამატებით აღმოსავლეთის მონაკვეთთან სიახლოვის გამო. ლოკაცია 1 მდებარეობს სოფელ ხაიშში, შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთიდან (კმ ნიშნულები 56.5-62.3) დაახლოებით 500 მ-ით სამხრეთით.



სურათი 8-63: საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის კვლევის ლოკაცია 1

8.9.2.3 კვლევის მეთოდები

კვლევის ლოკაციაზე ორი დამთვლელი მუშაობდა. დაკვირვებები ტარდებოდა 09.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე, 8 სთ-ის განმავლობაში, დღის ყველაზე დატვირთულ პერიოდში.

SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშისათვის ჩატარებული საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის კვლევის ანალოგიურად, საველე ჯგუფის წევრები მონაცემებს იწერდნენ სპეციალურ საველე მონაცემთა ფორმებში (MCC - Manual Classified Counts); გამოყენებული იყო გაერთიანებული სამეფოს ზოგადი სახელმძვანელო პრინციპები გზაზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და ტიპის განსასაზღვრავად (*საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები*, გამოცემული გზატკეცილებისა და ტრანსპორტის ინსტიტუტის მიერ 1994 წ. და საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის შენიშვნა 40 უცხო ქვეყნების გზების შესახებ). უფრო დეტალური ინფორმაცია მოყვანილია SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის თავში 8.8.2.

8.9.2.4 რეცეპტორების მნიშვნელობისა და მოწყვლადობის შეფასება პროექტის სატრანსპორტო ნაკადებისა და ტრანსპორტის თვალსაზრისით

შეფასდა რეცეპტორების მნიშვნელობა და მოწყვლადობა, რომლებზეც შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს პროექტთან დაკავშირებულმა ტრანსპორტმა. ამის შედეგად მოხდა რეცეპტორების მნიშვნელობისა და მოწყვლადობის კლასიფიკაცია კატეგორიებად, რომლებიც იცვლება 'ძალიან დაბალიდან' 'ძალიან მაღლამდე'. ინფორმაცია ამ პროცესის შესახებ მოყვანილია მე-3 თავში.

8.9.2.5 ტექნიკური პრობლემები ან არასაიმედოობა

საველე კვლევის ჯგუფი შეზღუდული იყო ბუნებრივი განათების საათებით წელიწადის მოცემულ პერიოდში (ნოემბერი) და SCPX პროექტის ჯანდაცვასთან, უსაფრთხოებასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნით, რომელიც კრძალავს მანქანის ტარებას ღამის საათებში. საინტერესო იქნებოდა მონაცემების მოპოვება, რომლებიც ასახავს ტრანსპორტთან დაკავშირებულ ფონურ მდგომარეობას საკვლევი პერიოდის ფარგლებს გარეთ, ე.ი., დილის 9 სთ-მდე და საღამოს 5 სთ-ის შემდეგ, რადგან სამშენებლო ტრანსპორტმა შეიძლება იმოძრაოს ამ დროსაც. თუმცა შეგროვილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ სატრანსპორტო ნაკადებში მკვეთრად გამოხატული პიკები არ ფიქსირდება და შესწავლილ გზებზე ადგილი არა აქვს მოძრაობის გადატვირთვას / საცობებს. აქედან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ დილის/ღამის სხვა საათებში მოპოვებულ დამატებით მონაცემებს მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოეხდინა კვლევის მონაცემების საფუძველზე გამოტანილ დასკვნებზე.

8.9.3 საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის საბაზისო მდგომარეობა

კვლევის პროცესში დადგინდა, რომ მთავარი გზების უმეტესი ნაწილი, რომელსაც SCPX პროექტის სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებები გამოიყენებენ შემოთავაზებული მილსადენის დამატებით მონაკვეთებამდე მისასვლელად, ამჟამად კარგ მდგომარეობაშია.

კვლევის პერიოდში შესწავლილი გზების უდიდეს ნაწილზე არ იყო გამოყოფილი სპეციალური ზოლი ან გადასასვლელები ქვეითად მოსიარულეთათვის. აქედან გამომდინარე, ფეხით მოსიარულენი მოძრაობდნენ უშუალოდ გზის სავალ ნაწილზე ან, სადაც შესაძლებელია, გზის კიდეებზე და გზას კვეთდნენ ისეთ ადგილებში, რომლებიც უსაფრთხო არაა.

კვლევის დროს აგრეთვე დაფიქსირდა გზის მონაკვეთები, რომლებიც გამოიყენებოდა საქონლის გადასაადგილებლად. მწყემსები საქონელს ხშირად მიერეკებოდნენ უშუალოდ მთავარ გზაზე და მანქანებს უწევდათ ცხოველებს შორის მოძრაობა.

საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის კვლევა ჩატარდა 2013 წლის ნოემბერში; ნოემბერი არ ითვლება სატრანსპორტო ნაკადების თვალსაზრისით ყველაზე დატვირთულ პერიოდად; ასეთად მიჩნეულია ზაფხულის თვეები, როდესაც ამინდის პირობები უფრო ხელსაყრელია და ბუნებრივი განათების პერიოდიც უფრო გრძელია. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია, რომ კვლევის პროცესში დაფიქსირებული სატრანსპორტო ნაკადის დონე, სავარაუდოდ, საშუალო წლიური მაჩვენებლის ანალოგიურია საკვლევ ტერიტორიაზე.

8.9.3.1 საგზაო მოძრაობა და ტრანსპორტი საკვლევ პუნქტში

კვლევის პროცესში შეგროვებული მონაცემები წარმოდგენილია ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის ანგარიშის დანართ K-ში; ეს მონაცემებია:

- ცალმხრივი მოძრაობის ყოველდღიური მონაცემების შეჯამება ლოკაციის მიხედვით
- ცალმხრივი მოძრაობა ყველა ლოკაციაზე საშუალო ნაკადის, სატრანსპორტო საშუალებების ტიპისა და პიკის საათებში მოძრაობის მიხედვით.

სატრანსპორტო ნაკადები შეჯამებულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 8-8, სურათი 8-64 და სურათი 8-65).

ცხრილი 8-8: სატრანსპორტო ნაკადის შემაჯამებელი ცხრილი

ლოკაცია	საშუალო ნაკადი დათვლის პერიოდში (მანქანა/სთ)	საათობრივი ნაკადი პიკის საათებში (მანქანა/სთ)	მძიმე სატრანსპორტო საშუალებების პროცენტი (%)
ლოკაცია 1 (ხაიშის მიდამოები)			
მარნეულიდან	30.88	45	9.72
მარნეულის მიმართულებით	33.38	60	8.99



სურათი 8-64: ცალმხრივი მოძრაობის სატრანსპორტო ნაკადის პროცენტული შეადგენლობა ლოკაციის მიხედვით



სურათი 8-65: ორმხრივი მოძრაობის კომბინირებული სატრანსპორტო ნაკადი კატეგორიების მიხედვით

საკვლევ ლოკაციაზე გზა ცალმხრივია (იხ. სურათი 8-66). კვლევის პერიოდში იგი კარგ მდგომარეობაში იყო; იგი აგრეთვე გამოსადეგი იყო მძიმე სატრანსპორტო საშუალებების გადასაადგილებლად.

კვლევის პროცესში აღირიცხა 514 სატრანსპორტო საშუალება. ეს რიცხვი შედარებით დაბალია, ვიდრე SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშისათვის შესწავლილ ლოკაციებზე დაფიქსირებული სატრანსპორტო საშუალებების საერთო რაოდენობები (იხ.SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის თავი 8.8). სატრანსპორტო საშუალებების დაახლოებით ერთნაირი რაოდენობა აღირიცხა მოძრაობის თითოეული მიმართულებით.

მარნეულიდან პიკური საათობრივი სატრანსპორტო ნაკადი (იხ. სურათი 8-66) იყო 45 მანქანა/სთ, რომელიც დაფიქსირდა 12.00 სთ-სა და 13.00 სთ-ს შორის, ხოლო მარნეულის მიმართულებით პიკური საათობრივი ნაკადი - 60 მანქანა/სთ - აღირიცხა 15.00 სთ-სა და 16.00 სთ-ს შორის. კვლევის პერიოდში არ დაფიქსირებულა საცობის / მოძრაობის გადატვირთვის რაიმე ნიშანი.

სატრანსპორტო ნაკადის უდიდეს ნაწილს - დაახლოებით 90%-ს - შეადგენდა მსუბუქი მანქანები და მსუბუქი სატვირთო მანქანები, ხოლო მძიმე სატრანსპორტო საშუალებები - მხოლოდ მიახლოებით 10%-ს.

სურათი 8-66: მარნეულის მიმართულებით მოძრავი სატრანსპორტო ნაკადი

8.9.4 საგზაო მოძრაობისა და ტრანსპორტის სენსიტიური საკითხები

8.9.4.1 მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთი

- მოძრაობის ორივე მიმართულებით პიკურ სატრანსპორტო ნაკადებს ადგილი აქვს დღის საათებში, კერძოდ: 12.00 სთ-დან 13.00 სთ-მდე - მარნეულის მიმართულებით და 15.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე მარნეულიდან.

8.9.4.2 მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი

- სატრანსპორტო ნაკადის უმეტესი ნაწილი (24.7%) მოიცავს კარიერების მასალით დატვირთულ მძიმე სატრანსპორტო საშუალებებს
- სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა დაბალანსებულია დღის საათებში.

8.10 საკვანძო სოციო-ეკონომიკური სენსიტიური საკითხები

ამ თავში შეჯამებულია კვლევის შედეგები და აღწერილია სოციო-ეკონომიკური ფაქტორები / საკითხები, რომლებიც განიხილება როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი საინჟინრო პროექტის ცვლილებებით გამოწვეული ზემოქმედებების გათვალისწინებით.

ზოგიერთი ფაქტორი / საკითხი საერთოა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა ტერიტორიისათვის. ეს საკითხები ქვემოთაა მოცემული:

- PAC-ებში დაფიქსირებულია მთავარი მოწყვლადი ჯგუფები: პენსიონრები, რეგისტრირებული უნარშეზღუდული პირები / ქრონიკული ავადმყოფები და იძულებით გადაადგილებული პირები. ამასთან, სხვა მაცხოვრებლებთან შედარებით, პენსიონრები წარმოადგენენ ნეგატიური სოციო-ეკონომიკური ცვლილებების თვალსაზრისით ყველაზე მოწყვლად და დაუცველ ჯგუფს
- PAC-ებში გამოვლენილია არასათანადო წყალმომარაგება, არ ხდება ჩამდინარე წყლების გასუფთავება და არაა მოწესრიგებული ნარჩენების განთავსების საკითხი; PAC-ები მოწყვლადი არიან გრუნტისა და ზედაპირული წყლების ხარისხის ცვლილებებისადმი
- PAC-ები მოწყვლადი არიან მიწის ნაკვეთებზე საკუთრების დოკუმენტაციის თვალსაზრისით, ვინაიდან მიწის რეგისტრაციის პროცესი ხშირ შემთხვევაში დასრულებული არაა
- პოტენციურად გზით მოსარგებლენი სენსიტიურები არიან შეწუხების მიმართ, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არსებულ გზებზე საინჟინრო პროექტის ცვლილებებით განპირობებული სატრანსპორტო ნაკადების გაზრდით და თუ მძიმე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა დააზიანებს არსებული გზების ინფრასტრუქტურას
- კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები მნიშვნელოვანი რესურსია პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი სოფლების მოსახლეობისათვის
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა გამოიყენება საძოვრებად და წარმოადგენს მნიშვნელოვან 'სათემო' რესურსს
- ტუბერკულოზის დონეები, მულტირეზისტენტული ფორმის ჩათვლით, მაღალია
- ცოფი, ჯილეხი, ტულარემია, *Yersinia pestis*, ბრუცელოზი და ლეიშმანიოზი საპროექტო ტერიტორიისთვის ენდემური დაავადებებია
- PAC-ებში სამედიცინო პრეპარატები ბევრი ოჯახისთვის / მაცხოვრებლისათვის ხელმისაწვდომი არ არის სიძვირის გამო; ზოგიერთ ადგილას წამლების ხელმისაწვდომობა დაბალია.

8.10.1 საკვანძო სენსიტიური საკითხები შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის სიახლოვეს

- PAC-ებში გამოვლენილია არასათანადო წყალმომარაგება, არ ხდება ჩამდინარე წყლების გასუფთავება და არაა მოწესრიგებული ნარჩენების განთავსების საკითხი
- PAC-ების მოსახლეობის აზრით, მათ დასახლებებში უმუშევრობის დონე მაღალია; პატარა სოფლებში შემოსავლები სეზონურია; შესაბამისად, მოსახლეობა მოწყვლადია ეკონომიკური რყევებისადმი. მათ არა აქვთ სათანადო პროფესიული ჩვევები და საკმარისი ინფორმაცია სამუშაოს საშოვნელად
- საინჟინრო პროექტის განახლებები მოახდენს ზემოქმედებას ზოგიერთ ისეთ ნაკვეთზე, რომლის მფლობელობა საკითხი სადავოა

- საგზაო მოძრაობა ყველაზე ინტენსიურია სამუშაო დღეებში. შაბათ-კვირას სატრანსპორტო ნაკადი მცირდება, თუმცა აღინიშნება რეკრეაციული მიზნებისთვის ველოსიპედების გამოყენების ზრდის ტენდენცია.

8.10.2 საკვანძო სენსიტიური საკითხები შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის სიახლოვეს

- საინჟინრო პროექტის ცვლილებების ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ზოგიერთი მიწის ნაკვეთის საკუთრების საკითხი სადავოა
- PAC-ების მოსახლეობის აზრით, მათ დასახლებებში უმუშევრობის დონე მაღალია; პატარა სოფლებში შემოსავლები სეზონურია; შესაბამისად, მოსახლეობა მოწყვლადია ეკონომიკური რყევებისადმი. გარდა სათანადო პროფესიული ჩვევებისა და სამუშაოს საშოვნელად საჭირო ინფორმაციის ნაკლებობისა, ადგილობრივ მაცხოვრებლებს ენის ბარიერიც აქვთ. მიმდებარე ტყეების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია საარსებო საშუალებებისა და სიღარიბის დონის თვალსაზრისით
- გაზის ცენტრალური მილსადენის არარსებობა (რაც მნიშვნელოვნად ზრდის საწვავის სახით შეშის გამოყენებას საკვების მოსამზადებლად და, განსაკუთრებით, გასათბობად) და, ასევე, ცუდი წყალმომარაგება. მოსახლეობის ათი პროცენტი დამოკიდებულია ბუნებრივ წყაროებსა და ჭებზე. აღინიშნება კომერციული ჯანდაცვის ობიექტებისა და რეკრეაციული დანიშნულების ინფრასტრუქტურის მწვავე ნაკლებობა.